# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 12 სექტემბერი 2008 №210 (3434) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეგრტი: კითხვის ნიშნების პეტარდები



გაფრო კიკილაშვილის ფოტო

ვისაც ჩვენთვის არ ეცალა, ახლა რატომ მოიცალა?

ტელეფონია გაფუჭებული თუ ცხოვრება?

რატომ ვიყავით უღყლო საღყლები ბელარუსულ ჯოჯოხეთში?

ფული ვინმესთან მიხსენებია?!

კუპერთან რამე დავაშავე?!

## კარიერა არ გაილია: ზედგინიძე მოდის!



გაფრო კიკილაშვილის ფოტო

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ილია ზედგინიძე რაგბის უბრუნდება.

ბორჯღალოსნების მორკინალმა და ყოფილმა ყოჩმა სარაგბო კარიერა შარშან, საფრანგეთის მსოფლიოს თასზე დაასრულა, როდესაც ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში, ირლანდიასთან ხმაურიანი მატჩისას ტრავმა მიიღო და ორჯერ ნაოპერაციები მუხლი სარაგბოდ თითქოს ველარ გაუქაჩავდა.

მაშინ ილია ზედგინიძემ ისიც თქვა, თამაშს ველარ შევძლებ, ქრონიკული ტრავმა, თავისას შვრება და თანაც დავილალეო. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ექიმებს გაესინჯა და მათაც თამაშის ნება დართეს.

ახლა ილია ზედგინიძე საფრანგეთის ჩემპიონატის რანგით მესამე ლიგის კლუბ „ქსინ-პროვანაში" სრული დატვირთვით ვარჯიშობს, ოქტომბრისთვის თამაშს და ნაკრებში დაბრუნებასაც აპირებს, იმ ნაკრებში, რომელშიც 48 მატჩი ითამაშა, აქედან 32-ჯერ უკაპიტნა და 14 ლელო გაიტანა.

ილია ზედგინიძესთან ინტერვიუ მე-13 გვერდზე იხილეთ.

# MОДИ, LEVAN!

## მჭედლიძის ღიმილიანი წარდგენა სიცილიაში





უქულოდ გაილია სექტემბრის დასაწყისი საქართველოს ნაკრებისთვის და მართალია, ჯერ ადრეა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვერც ამ შესარჩევ ციკლში გვიწერია ხელჩასაჭიდი წარმატების ნახვა. იმედია, როცა ექტორ რაულ კუპერი უკეთ გაიცნობს ქართულ სიტუაციას, უფრო და უფრო აღმოფხვრის შეცდომებს.
ახლა კი ვნახოთ, როგორ აფასებს განცდილ ორ მარცხს ლაშა სალუქვაძე. ყაზანის „რუბინის“ მცველს ირლანდიასთან არ უთამაშია, იტალიასთან კი ერთ-ერთ საუკეთესო იყო ჩვენებიდან...

# ლაშა სალუქვაძე: კუპერის ცოდნა ამის შემდეგ უფრო გამოჩნდება

— რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. არც ირლანდიასთან და არც იტალიასთან არ იყო ასპოცენტიანი წასაგები თამაშები. ფეხბურთში იღბალი ბევრს წყვეტს და სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს უმეტესწილად არ უმართლებს. გუშინ ლევან ყენიას რომ მომენტი გამოეყენებინა, შესაძლოა, იქით გვენერვიულებინა იტალია.

— ირლანდიასთან არ გითამაშია და ჯერ მხოლოდ იტალიასთან მატჩზე გკითხავ: თავიდან რომ დაცვაში იყავით და წინ არ მიდიოდით, ეს მწვრთნელის დავალება იყო?

— მწვრთნელის დავალება არ ყოფილა, მაგრამ რა გინდა ქნა, როცა ამხელა იტალია გიტევს, შენ კი ბურთს ვერ იჭერ, მათ ნახევარზე ვერ გადაგაქვს. დიდი ზეწოლა იყო, თუმც შეგვეძლო გაძლება, რომ არა შორიდან გაშვებული გოლი.

— შენ და კახა კალაძეს განსაკუთრებით ბევრი ჯაფა მოგიწიათ...

— როგორ ვითამაშე, ეს უკვე თქვენი შესაფასებელია, მაგრამ მე არ ვარ მთავარი. წავაგეთ და ესაა სამწუხარო.

— ლუკა ტონის ბევრჯერ ააცალე ბურთი თავიდან — მან აშკარად ვერ ითამაშა კარგად...

— ტონისთან ხან პერსონალურად ვიდექი, ხანაც ზონურ დაცვას მივმართავდით. ტონიმ ვერ გაგვიტანა, მაგრამ რა აზრი აქვს — სხვამ შეაგდო ბურთი.

— მწვრთნელზეც ვთქვათ: რა იგრძნობა მის ხელში ახალი, რა შეემატა ნაკრებს?

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, კუპერი ახალდანიშნულია და დრო გვიჩვენებს, რამდენად წაადგება მისი კვალიფიკაცია ნაკრებს. ისე კი, ჩემი შეფასება რად უნდა, რომ ძალიან ძლიერი მწვრთნელია.

— ორივე მატჩის მეორე ტაიმში ნაკრებმა პირველზე უკეთ ითამაშა. ეს შემთხვევითია?

— ეს მიუთითებს მწვრთნელის მუშაობაზე. განსაკუთრებით იტალიასთან მეორე ტაიმი იყო ნორმალური, მაგრამ ამ დროს უკვე ვაგებდით. კარგი იქნებოდა, პირველ წუთებშიც ასე გვეთამაშა. თავიდან სითამამე გვაკლდა.

— როგორ ფიქრობ, ირლანდიასთან კუპერმა იმიტომ არ გათამაშა, რომ ნაკრებს გვიან შეუერთდი?

— არა მგონია, ეს ყოფილიყო მიზეზი. ნაკრებში კონკურენციაა, ბევრი ფეხბურთელი იყო გამოძახებული.

— იტალიასთან მატჩის შემდეგ რა გითხრათ კუპერმა?

— ანალიზი არ ყოფილა. გვითხრა, რომ მომდევნო სანაკრებო მატჩებისთვის უნდა მოვემზადოთ, რათა დაკარგული ამოვქაჩოთო. იმედია, ამას შევძლებთ: კარგი ახალგაზრდები გვყავს, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, უჩა ლობჟანიძე...

— მეკარე არ გიხსენებია. ისიც ახალგაზრდაა...

— გიორგი ლორიამ შეცდომები დაუშვა, მაგრამ რაც ნაკლებს იფიქრებს ამაზე და გულში არ ჩაიყოლებს, მით უკეთესი. ლორია ახალგაზრდა და თავის მომავალს უნდა გაუფრთხილდეს.

— „რუბინზეც“ ვთქვათ: რუსეთის ჩემპიონობას უახლოვდებით, რაც, ალბათ, დიდი სენსაცია იქნება...

— ახლა უკვე აღარ ვფიქრობ. რომ სენსაცია იქნება. ნეტავ, საქართველოს ნაკრებსაც ისეთივე მდგომარეობა ჰქონდეს, როგორც „რუბინს“. 14 სექტემბერს შინ მოსკოვის „დინამოს“ ვეთამაშებით და თუ მოვიგებთ, 9-ქულით გავუსწრებთ. ფაქტობრივად, საჩემპიონო მატჩია.

— რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამო ყაზანში ცხოვრება ხომ არ გიჭირთ „რუბინის“ ქართველ ლეგიონერებს?

— არა, ამაზე ლაპარაკიც არაა, ყაზანში ყოველთვის აფასებდნენ ქართველებს და ახლაც ასეა. პირიქით, ყველა რუსი ფეხბურთელი გვამშვიდებს. ცუდი აღარაფერი მოხდებაო. ურთიერთობა არავისთან გაგვფუჭებია.

**ილია ნანობაშვილი**

# M. LEVAN 99

# პალერმომ ქართველი წარადგინა



**ლევან მჭედლიძე** თავის ახალ კლუბს შეუერთდა.

იტალიური სერია A-ს „პალერმო“ 18 წლის ქართველ თავდამსხმელს ამაოდ არ შეიძინდა, მას გუნდის მომავლად თვლიან და ვინძლო, ჩვენიანმა ძირითად შემადგენლობაში თავიდანვე დაიმკვიდროს ადგილი.

ლევანის გარდა სიცილიელებმა გუშინ კიდევ ერთი ახალგაზრდა ფორვარდი წარადგინეს — ნიკოლა სუკი, რომელსაც 19-ნომრიანი მაისურა ერგო. „მჭედლოს“ კი 99 ეცმევა. გეხსომებათ, ის საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ამ ნომრიანი მაისურით თამაშობდა წინა შესარჩევ ციკლში.

პალერმოელთა საუკეთესო თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი გახლავთ, თუმც ექსიუვენტუსელი უფრო უკნიდან თამაშობს, მჭედლიძის კონკურენტები კი ურუგვაელი რობერტო სავანი და ხორვატი იგორ ბუდანი უფრო იქნებიან.

**ილია ნანობაშვილი**

# იბერიამ შანსი ჩეხებს მიაბარა

**თბილისის** „იბერია 2003-ის“ უეფას თასის ელიტ-რაუნდში გასვლის შანსი ჩეხურმა „ჰრუდიმმა“ 10 წუთში დაასამარა.

მე-10 წუთზე ჯერ ვლადიკამ გაუტანა ჯაბა ჯამბურიას, შემდეგ თბილისელებს ბრაზილიელი ლეგიონერი და კოსტა გაუგდეს და რომან მარეკმა მეორეც გაიტანა — ეს ყველაფერი ერთ წუთში მოხდა.

თბილისელებმა გასატანად გაიწიეს, ზედიზედ ხუთი მომენტი შექმნეს და... ბურთი საკუთარ კარში მიიღეს — მე-16 წუთზე ვლადიკამ მესამე გაიტანა, რასაც ტაიმის ბოლოს სლუკამ მეოთხე მიაყოლა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე კი რომან მარეკმა დუბლი შეასრულა — 5:0.

ქართველებმა ცოტა გამოიფხიზლეს და 27-ე და 28-ე წუთებზე ბესიკ ზოიძემაც შეასრულა დუბლი. თითქოს იმედი გაჩნდა, მაგრამ თბილისელებს ახლა ცივი შხაპი მიხალ მარეკმა გადაასხა — 6:2.

მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ბრაზილიელმა რონინიომ ისევ შეამცირა სხვაობა — 3:6. ეს იყო და ეს. საბოლოოდ, ერთი მოგება, ორი წაგება და ჯგუფში მესამე ადგილი...

„იბერია 2003“ ჩეხურ ტურნირზე ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:
***მეკარეები:*** *ჯამბურია, აკოფოვი;*
***მოთამაშეები:*** *რონინიო, და კოსტა, დან დანი, მუკადო, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, ზოიძე, წერეთელი, სარქისიანი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონი იაშვილს ჯერაც ელაპარაკება



**საქართველოში** სატრანსფერო ფანჯარა ხვალ იხურება.

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ ბოლნისის „სიონი“ აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს შვეიცარიული „თუნის“ ყოფილ თავდამსხმელთან სანდრო იაშვილთან. მან ბოლნისურ კლუბში ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა თბილისის „ლოკომოტივთან“.

როგორც გუშინ „სიონის“ თავკაცმა ოთარ კორღალიძემ გვითხრა, მოლაპარაკება ჯერაც არ დასრულებულა.

ასე რომ, დაველოდოთ...

**ნუკრი ლოლაძე**

# ცქიტიშვილი ერთწლიან ლოკომოტივს გააფორმებს



**რამდენიმე** დღის წინ თბილისის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში გამოჩნდა ლევან ცქიტიშვილი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

ლევანმა წინა სეზონიც „ლოკომოტივში“ ჩაამთავრა, მაგრამ ახალ სეზონში თუ ითამაშებდა თბილისურ კლუბში, გაურკვეველი იყო.

ხვალ საქართველოში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და როგორც შევიტყვეთ, დღეს ცქიტიშვილი „ლოკომოტივთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ერთიც: „ლოკომოტივმა“ 6 თვით „ვიტ ჯორჯიას“ მცველი ალექსი კაიშაური ინათხოვრა.

**ნუკრი ლოლაძე**

| ესპანეთი | შვედეთი |
|---|---|
| თასი | სუპერეტა |
| გავა 1:3დ.დ. (0:0) ლას პალმასი | იორგრიტე 0:2 ლანდსკრონა |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტარ სეგრტის განწვრთნილმა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ოთხ დღეში ორი საკვალიფიკაციო მატჩი სამარცხვინოდ წააგო — 0:4 რუსეთთან და 0:5 პოლონეთთან, რამაც, რა თქმა უნდა, აღაშფოთა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ხორვატ სპეციალისტს დაუხანებლად მოსთხოვეს გადადგომა. ამის თაობაზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გუშინდელ „სარბიელში" განაცხადა — თუ სეგრტს პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, უნდა გადადგესო. თავად ხორვატი ახლა ავსტრიაშია და მას ფეხბურთის ფედერაციიიდან არავინ შეხმიანებია. ის, რომ სფფ უპირობოდ ითხოვს მის გადადგომას, ეს სეგრტმა გუშინ ჩვენგან შეიტყო და უპირველესად მოთხოვნის მეთოდზე აღშფოთდა — ხუთი დღეა, ვცდილობ, გოგი ქავთარაძეს ან უჩა უგულავას დავუკავშირდე, მაგრამ ისინი არ მპასუხობენ და არც თავად მეხმიანებიან, ამ დროს კი პრესასთან ამბობენ, რომ მე უნდა გადავდგე...
პეტარ სეგრტს სათავისო არგუმენტები აქვს, თუ რატომ შეემთხვა ჩვენს ნაკრებს ეს კატასტროფა და მოვუსმინოთ...


ბადრი ქობალაძის ფოტო

# მე არ უნდა ვაკეთებდე ამას!

## პეტარ სეგრტი: ფედერაციის საქციელით გაოცებული და გაკვირვებული ვარ

— გოგი ქავთარაძის ეს განცხადება თქვენგან გავიგე. ჩემთან არც მას და არც ფედერაციის სხვა წარმომადგენელს არ ულაპარაკია. ცოტა საწყენია, როცა ამას ჯერ პრესას ეუბნები, თავად მწვრთნელთან კი არც გილაპარაკია.

— როდის გქონდათ ბოლო კავშირი ფედერაციის წარმომადგენლებთან?

— შაბათს, რუსეთთან მარცხის შემდეგ. მითხრეს, რომ როცა ახალგაზრდული ნაკრების მატჩებს მოვრჩებოდი, 17-წლამდელებისთვის მიმეხედა.

— რუსეთთან მარცხს პოლონეთთან წაგებაც მოჰყვა და ალბათ ამან უფრო გადააწყვეტინა ფედერაციას თქვენთან დაშორება...

— მართლაც კატასტროფულად წავაგეთ, მაგრამ ვთვლი, რომ ამაში დამნაშავე მხოლოდ მწვრთნელი და ფეხბურთელები არ არიან. არ მინდა ახლა ლაპარაკი, შევხვდები ფედერაციის წარმომადგენლებს და ბევრ რამეზე დავილაპარაკებთ. ჩემი გადადგომის საკითხიც ამის შემდეგ გაირკვევა.

— კი მაგრამ, მათ უკვე ღიად დააფიქსირეს ახალგაზრდული ნაკრებიდან თქვენი წასვლის სურვილი. ამბობთ, რომ იყო წაგების სხვა მიზეზებიც...

— მე კორექტულობის მომხრე ვარ და ძალიან გაოცებული ვარ, ასე რომ მოიქცა გოგი ქავთარაძე. მას პირადად ვეხვეწებოდი, რომ ის 21-წლამდელები, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში ირლანდიასთან სათამაშოდ წაიყვანეს, ახალგაზრდული ნაკრებისთვის დაეთმოთ. ისედაც მრავლად გვყავდა ტრავმირებულები და ვინც ჩემი გუნდის გამწევი ძალა იყო, ეროვნულ ნაკრებში წაიყვანეს.

— ეროვნული ნაკრების ინტერესები ხომ ყოველთვის მაღლა დგას სხვა დანარჩენ ასაკობრივ ნაკრებებზე...

— თავისთავად, თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო გასათვალისწინებელი — მეტოქე იყო რუსეთი, საქართველოსთან მეომარი ქვეყანა და თან ჩვენ ორივე მატჩი რომ მოგვეგო, ჯგუფში მეორე ადგილზე გავდიოდით. ეროვნული ნაკრები კი პირველ მატჩს თამაშობდა და ვფიქრობ, ჩემს გუნდს უფრო სჭირდებოდა ეს ბიჭები, ვიდრე ეროვნულს. საბოლოოდ რა გამოვიდა — ახალგაზრდული 9 მოთამაშის გარეშე დარჩა და ასეთ დანაკლისს ბელარუსში არსებული ჯოჯოხეთური ვითარებაც ემატებოდა.

— პირობებით უკმაყოფილო ხართ?

— არა მარტო პირობებით, არამედ მთლიანად ორგანიზებით. დავიწყოთ იმით, რომ გუნდი არ იყო სათანადოდ მომზადებული. ზოგიერთი ფეხბურთელი ფორმიდან სრულიად ამოვარდნილი იყო და ეს იმიტომ, რომ სხვა არჩევანი არ გვქონდა. თბილისიდან ვიმგზავრეთ 17 საათი, სანამ ბელარუსში ჩავაღწევდით და იქ სრული კოშმარი დაგვხვდა — არანაირი სავარჯიშო პირობები, სრული სპორტული ეკიპირებაც არ გვქონდა და ზოგი მოთამაშე გაცივდა, რადგან წვიმიან ამინდში გამოსაცვლელი აღარ ჰქონდა. ეს კი არა, სასმელი წყალი ჩემი ფულით ვიყიდე და ასეთი ორგანიზაციული პრობლემების გამო რომ ვურეკავდი ფედერაციის ხელმძღვანელებს, საჩვენოდ არ ეცალათ.

— გამოდის, რუსებთან წინასწარ იყავით განწირულნი: არც შემადგენლობა, არც პირობები... მაშინვე რატომ არ გამოთქვით პროტესტი?

— ჯერ ერთი, ფედერაციას არ ეცალა საჩვენო პრობლემების მოსაგვარებლად, ისინი ეროვნულ ნაკრებთან იყვნენ და მეორეც, მე მწვრთნელი ვარ და ჩემი საქმე ბრძოლაა. მე არ უნდა ვიყო საორგანიზაციო საკითხებით დაკავებული, მე არ უნდა ვყიდულობდე წყალს, არ უნდა ვიგერიებდე რუსი ჟურნალისტებისა თუ გულშემატკივრების ზღვარგადასულ ზეწოლას. რუსები სასტუმროში მოდიოდნენ და ჩვენს ნერვებზე მოქმედებდნენ. იქ არავინ იყო ფედერაციიდან, რომ ჩვენთვის, ელემენტარულად, მყუდრო გარემო შეექმნა. ჰოდა, ეს ყველაფერი იცის გოგი ქავთარაძემ და ამიტომაც მიკვირს, ჩემზე რომ ტეხავს ჯოხს. ერთიც სათქმელია: ქავთარაძე არ არის ფედერაცია, მით უმეტეს, ის არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას...

— გულშემატკივარიც აღშფოთებულია ასეთი შედეგებით...

— რა თქმა უნდა, არავის გაუხარდებოდა ასეთი წაგებები, თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ წარმატების შანსი მინიმუმამდე იყო შემცირებული. ისე გამოვიდა, რომ ფედერაციამ აშკარად წასაგებად შეგვატოვა კარგად მომზადებულ რუსეთს. გერმანიიდან მირეკავდნენ მეგობრები და რომ გაიგებდნენ, რა დღეშიც ვიყავით, მეუბნებოდნენ, დატოვე ეგ სამსახური, რა აზრი აქვს ასეთ მუშაობასო. მე ამას ვერ გავაკეთებდი, რადგან საქართველო ძალიან მიყვარს და ასეთ დროს ვერ ვუღალატებდი. მგონი, იმ ხნის მანძილზე, რაც თქვენს ქვეყანაში ვიმყოფები, არაერთხელ დავამტკიცე საქართველოს სიყვარული და მინსკშიც ბოლომდე ვიდექი მისი ინტერესების დასაცავად.

— თუმცა ფედერაცია არც აპირებს თქვენთან ურთიერთობის სრულად გაწყვეტას — თქვენ ხომ ნაკრებების ტექნიკური დირექტორიც ბრძანდებით...

— არ არის პრობლემა, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობას არ გამოვეკიდები, უბრალოდ, არ მინდა, რომ უსამართლოდ მომექცნენ და კორექტულობის ზღვარი დაირღვეს. ნაკრებთა ტექნიკური დირექტორი ვარ და არც მითქვამს უარი, ისე დავეხმარე ეროვნულ გუნდს რუსეთთან ომის შფოთიან პერიოდში.

— სხვათა შორის, გოგი ქავთარაძემ ისიც ახსენა, რომ იმ პერიოდში ეროვნული ნაკრების შეკრება და უელსში ექტორ რაულ კუპერთან ჩაყვანა მხოლოდ თქვენი დამსახურება არ ყოფილა...

— კუპერს წარმოდგენა არ ჰქონდა იმ ხალხზე, ვინც მე შევკრიბე და ბაქოსკენ რამდენიმესაათიანი მგზავრობისა და ვიზების გაკეთების შემდეგ უელსში ჩავუყვანე. 14-15 კაცი პირადად მე ჩამოვწერე და ამ ხალხმა მოაგებინა ჩვენს ეროვნულ გუნდს უელსში. გაოცებული ვარ, რომ ამას ვერ ხედავენ.

— და ბოლოს: როგორც შევიტყვეთ, რამდენიმე თვეა, ანაზღაურების გარეშე მუშაობთ...

— ფული არის ყველაზე უკანა პლანზე ჩემსა და ფედერაციასთან, უფრო სწორად, ქართველ ქომაგთან ურთიერთობაში. მე მართლაც არ ამიღია ხელფასი უკვე ოთხიხუთი თვეა, მაგრამ ეს არასდროს მიხსენებია. მიხსნიდნენ, რომ გაჭირვებაა, რაც მე ადამიანურად მესმოდა და ახლაც მესმის. ჰოდა, ძალიან გულნატკენი ვარ, რომ ასეთი ვითარება შეიქმნა. რამდენიმე დღეში ალბათ დამელაპარაკებიან ფედერაციის წარმომადგენლები, შევხვდები პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და იმედი მაქვს, ყველაფერი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ დამთავრდება.

**რამაზ ყაველაშვილი**

# ძალიან მრცხვენია...

## სახლში გამოკეტილი გიორგი ნავალოვსკი თბილისიდან გაიპარა



საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩაამთავრა და ვაი ასეთ ჩამთავრებას. ქართველებმა ბოლო ორი შეხვედრა კატასტროფული ანგარიშით წააგეს — ჯერ „კეთილ მეზობელ" რუსეთთან 0:4 განადგურდნენ, მერე კი პოლონეთთან 0:5 შერცხვნენ და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. გუშინ ახალგაზრდული ნაკრების კაპიტან გიორგი ნავალოვსკის გავესაუბრეთ, რომელიც თავის კლუბში, „ანჟიში" გასამგზავრებლად ემზადებოდა...

— ახალგაზრდული ნაკრების თამაშით მთელი საქართველო გაოგნებულია. რუსეთთან ძალიან სამარცხვინო ფეხბურთი აჩვენეთ, მერე კი პოლონეთთანაც იგივე განმეორდა. რა მოხდა?

— ჩემს ცხოვრებაში ასეთ საშინელ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. რა გითხრათ, ძალიან მრცხვენია... რაც თბილისში ჩამოვედი, სახლიდან არ გავსულვარ. ახლაც მივიპარები მახაჩყალაში, შოკში ვარ.

— თითქოს რუსეთთან სათამაშოდ შიშით გახვედით. გუნდს, ფაქტობრივად, არ უბრძოლია...

— მატჩის დაწყებამდე კბილებს ვილესავდით და თამაშზე რა მოხდა, ვერ ამიხსნია — ყველანაირად გვაჯობეს, ძალიან საზიზღრად ვითამაშეთ.

— იგივე განმეორდა პოლონეთთანაც...

— რუსეთთან თამაშის შემდეგ შოკიდან დღემდე ვერ გამოვსულვარ და ასეა ახალგაზრდული ნაკრების ყველა წევრი...

— მართალია, ამ წაგებებს არანაირი გამართლება არ აქვს, მაგრამ მაინც: გავიგეთ, მინსკში ყველაფერი ისე არ დაგხვდათ, როგორც საჭირო იყო...

— საშინელი პირობები დაგვახვედრეს ბელარუსებმა. სამი დღე ასფალტზე დავრბოდით. არ გეგონოთ, თავს ვიმართლებდე, უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნე.

— რუსეთთან თამაშისას ერთ ეპიზოდში ფეხბურთელებს შორის სიტუაცია დაიძაბა. ამას გაგრძელება ხომ აღარ მოჰყოლია გასახდელებში?

— არა, ერთმანეთს მშვიდობიანად დავცილდით. სამწუხაროდ, რუსებმა ალალად გვაჯობეს...

— თვითონ ბელარუსებისგან რამე აგრესია ხომ არ იგრძნობოდა?

— უბრალო ხალხი მოდიოდა და გვეკითხებოდა, რა ხდება საქართველოშიო. არანაირი აგრესია არ ყოფილა.

— კლუბზეც გკითხავ: მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე მახაჩყალის „ანჟიდან" წასვლას აპირებდა, რატომ?

— რამდენიმე თამაში ვერ მოვიგეთ და სიტუაცია, ცოტა აირია, თუმცა ბიჭებს ტელეფონით ვესაუბრე და მითხრეს, თეთრაძემ წასვლა გადაიფიქრაო.

— შენ კი დისკვალიფიკაციის გამო ბოლო ტურები გაგიცდა...

— სასჯელი უკვე დამიმთავრდა და მომავალი ტურიდან გუნდს დავეხმარები.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ტატანაშვილმა თბილისიდან ვიზა წაიღო

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი წარუმატებლად დაიწყო: ქართველები ჯერ ირლანდიასთან 1:2 დამარცხდნენ, მერე კი იტალიასთან — 0:2.

ამ მატჩებისთვის გამოძახებულთა სიაში ვერ მოხვდა ჩეხური „პლზენის" თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი. დიდი ეჭვი გვაქვს, ექტორ რაულ კუპერს ამ თავდამსხმელზე ინფორმაცია ჯერაც არავინ მიაწოდა. დიმა ვიზის ასაღებად რამდენიმე დღით თბილისში იყო და თავის ყოფილ კლუბ „ამერთან" ერთად ივარჯიშა, დღეს დილით კი ჩეხეთში წავიდა.

**ნუკრი ლოლაძე**

# დინამოს კრშკო ჩამოუვიდა




**თბილისის** „დინამოს" სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო დაუბრუნდა — ის უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

გაბონელ ლეგიონერებს, დიდიე ოვონოს და ჟორჟ აკირემის კი 14 სექტემბერს ელიან თბილისში.

გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიდან გულვერდ თომაშვილი, გურამ კაშია, ნიკა ფირცხალავა და მათე ვაწაძე დაუბრუნდნენ რაინერ ცობელს. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, გიორგი ლორია, დავით ოდიკაძე და ლევან ხმალაძე კი დღეს შეუერთდებიან გუნდს.

**ლუკა თალაკვაძე**

# აკუასაგამ ორშაბათი შემოთვალა

**ომიანობის** დროს საქართველოს რამდენიმე ლეგიონერი გაეცალა, მათ შორის, რუსთავის „ოლიმპის" გაბონელი მცველი ერნესტ აკუასაგა.

7 სექტემბერს აკუასაგამ თავისი ქვეყნის ნაკრებში ითამაშა ლესოტოს წინააღმდეგ და 3:0 იმარჯვა. ის მეორე დღეს საქართველოში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მოულოდნელად გეგმები შეცვალა და...

როგორც „ოლიმპის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ბადრი ქარქაშაძემ გვითხრა, გაბონელს უთქვამს, ორშაბათს მანდ ვიქნებიო. თუ, რა თქმა უნდა, კიდევ არ გადაიფიქრა...

**ნუკრი ლოლაძე**

# გელა შეყილაძის რაზმი ავსტრია-უნგრეთისთვის

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებს 22-27 სექტემბერს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელის უნგრეთში. ჩვენი მეტოქეები არიან ჩეხეთი, ბოსნია და უნგრეთი.



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც შეკრებას გაივლის და 14 და 18 სექტემბერს ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს იქაურ კლუბებთან, უნგრეთში კი 19 სექტემბერს ჩავა.

22 სექტემბერს საქართველო პირველ ტურში მასპინძლებს შეხვდება, 24 სექტემბერს — ჩეხებს, ხოლო 27 სექტემბერს — ბოსნიას.

ელიტ-რაუნდში ორი საუკეთესო გუნდი გავა.

17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა შეყილაძემ ავსტრია-უნგრეთში ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

*მეკარეები:* გიორგი ნადირაძე (დინამო), არჩილ მაქაცარია (ბაია);

*მცველები:* ნიკა კვეკვესკირი (ბაია), მინდია ფუტკარაძე (ბათუმი), ბაქარ მირცხულავა (ბენფიკა, პორტუგალია), ნიკა აფაქიძე (ბაია), ბესიკ ამაშუკელი (ოლიმპი, თბილისი), თორნიკე ჯიმშელეიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა კობახიძე (საბურთალო);

*ნახევარმცველები:* ლევან ელიზბარაშვილი (ნორჩი დინამოელი), ჯანიკო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ნოშრევან ჯიშკარიანი (დინამო), ნიკა ძლამიძე (ბაია), კოტე გაბაშვილი (ოლიმპი, თბილისი);

*თავდამსხმელები:* ლაშა ჩაფიძე (ნორჩი დინამოელი), ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია), დათა ხოჭოლავა (საბურთალო), გიორგი ჭანტურია (საბურთალო).

**ბახა შალამბერიძე**

# ბურდულმა სიმფეროპოლი გაიფორმა



**ლადო ბურდულმა** სიმფეროპოლის „ტავრიასთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გეცოდინებათ, სატრანსფერო ფანჯარა დახურულია, მაგრამ ლადო თავისუფალი აგენტი გახლდათ და ამიტომაც მას ფანჯრის „ამოლუქვა" არ შეხებია.

საქართველოს ნაკრების კანდიდატი „ტავრიაში" 24 ნომრით ითამაშებს — ეს მისი მესამე უკრაინული კლუბია კრივოი როგის „კრივბასისა" და ლუგანსკის „ზარიას" შემდეგ.

ბურდულს „ტავრიაში" ვასილ გიგიაძე დახვდა, რომელთან ერთადაც „კრივბასში" საკმაოდ კარგად თამაშობდა.

**ილია ნანობაშვილი**



# საქართველომ ლიპი დააკმაყოფილა

**საქართველოსთან** მოგებული მატჩის შემდეგ იტალიელებს 6 ქულა მოუგროვდათ და ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერებად იქცნენ. ასეთი დასაწყისით „სკუადრა აძურას" თავკაცი მარჩელო ლიპი, რა თქმა უნდა, კმაყოფილია...

„ქართველებთან მატჩში გუნდს ეტყობოდა, რომ მომატება შეუძლია. კარგია, რომ პრობლემების მიუხედავად, საწყის შეხვედრებში მაქსიმუმი ავიღეთ — სჯობს, გამარჯვება ბრძოლით მოიპოვო, ვიდრე უბრძოლველად. თავიდანვე ზედმეტი თავდაჯერება არვარგა. საკმაოდ დატვირთული კვირა გვქონდა, ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი დავკარგეთ. ამის მიუხედავად, ცხრილის თავში ვართ" — განაცხადა ლიპიმ.

იტალიელთა თავკაცმა ტრავმები ახსენა და, მოპოვებული გამარჯვებები სწორედ ტრავმირებულებს მიუძღვნა...

„მინდა, ეს გამარჯვებები გატუზოს, გროსოსა და გამბერინის მივუძღვნა. ეს ფეხბურთელები კლუბებს დაუბრუნდნენ და მათთან ერთად იმუშავებენ, ერთი თვის შემდეგ კი ისევ შევხვდებით" — დასძინა ლიპიმ.

ლიპის არც საქართველოსთან მატჩის გმირი დანიელე დე როსი დავიწყებია და შეგირდი სტივენ ჯერარდს შეადარა, რითაც ფეხბურთელი აღფრთოვანებული დარჩა...

„ეს ჩემთვის დიდი პატივია, ჯერარდი დიდი ფეხბურთელია და მასთან შედარება უდიდესი კომპლიმენტია" — თქვა დე როსიმ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტრაპატონიმ ჯგუფელები ჩერნოგორიით დააშინა

**ჩერნოგორია 0:0 ირლანდია**

**ჩერნოგორია:** პოლეკსიჩი, პავიჩევიჩი, ბატაკი, ტანასიევიჩი, იოვანოვიჩი, ზვეროტიჩი, დრინჩიჩი, პეკოვიჩი, ბოზოვიჩი (ვუკჩევიჩი 54), ჟოვეტიჩი, ვუჩინიჩი

**მწვრთნელი:** ზორან ფილიპოვიჩი

**ირლანდია:** გივენი, ფინანი, ოში, დანი, კილბეინი, მაკგრეიდი, ველანი, რიდი, ჰუნტი, დოილი, კინი

**მწვრთნელი:** ჯოვანი ტრაპატონი

**გაფრთხილება:** პეკოვიჩი (63)

**მსაჯი:** სტენ კალდმა (ესტონეთი)

**საქართველოს** ნაკრების უდინურ მატჩამდე ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა — ჩერნოგორიამ პოდგორიცაში უმასპინძლა ქართველთა მძლეველ ირლანდიას და უგოლოდ დაშორდა.

ჯოვანი ტრაპატონიმ მოგებული შემადგენლობა არ შეცვალა, ზორან ფილიპოვიჩმა კი, ბულგარელებთან მატჩისგან განსხვავებით, ორი ცვლილება გააკეთა.

ირლანდიელები გაცილებით მეტხანს ფლობდნენ ბურთს, თუმც სახიფათო მომენტები მასპინძლებს უფრო ჰქონდათ.

პირველ ნახევარში ერთადერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, როდესაც ტაიმის მიწურულს იოვეტიჩის დარტყმული თავგანწირული ნახტომით გამოიტანა კარიდან ჯონ ოშიმ. აქედან წუთში კი მსაჯს შეეძლო, მასპინძელთა კარში პენალტი დაენიშნა, მაგრამ...

მეორე ტაიმის ნახევარზე მეტმაც სახიფათო მომენტების გარეშე ჩაიარა, გუნდები ბოლო 15 წუთშიღა გამოცოცხლდნენ. მასპინძელთაგან ზვეროვიჩს, იოვეტიჩს, დრინჩიჩსა და ვუკჩევიჩს შეეძლოთ გატანა, სტუმართაგან კი — დოილმა, მაკგრეიდიმ და ველანმა ვერ ივარგეს.

ორ-ორი მატჩის შემდეგ ჩერნოგორიელებს ორი ქულა მოუგროვდათ, ირლანდიელებს — ოთხი.

ჯოვანი ტრაპატონიმ მატჩის შემდეგ მასპინძლები შეაქო და ის გუნდები გააფრთხილა, რომელთაც პოდგორიცაში მოუწევთ თამაში...

„ძალიან მინდა, ვნახო, როგორ ითამაშებენ პოდგორიცაში სხვა გუნდები. ტრიბუნებზე განსაკუთრებული ატმოსფეროა და მათ წინაშე თამაში მსოფლიოს ჩემპიონებსაც გაუჭირდებათ" — განსაკუთრებული სიფრთხილისკენ იტალიელმა თანამემამულეებს მოუწოდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბექემის კარიერა დასრულებულია!




**გეხსომებათ** ინგლისის ნაკრების 1980-90-იანი წლების ფეხბურთელი ჯონ ბარნსი, რომელმაც ოთხშაბათს, თანამემამულეების მიერ ხორვატთა 3:1 ძლევის შემყურემ ასეთი დასკვნა გააკეთა: დევიდ ბექემის კარიერა დასრულებულია!

რამ ათქმევინა ყოფილ ფეხბურთელს ეს მწარე სიტყვები? იოლი მისახვედრია — არსენალელი ჭაბუკის, თეო უოლკოტის ჰეთ თრიქმა.

თუმცა, მიზეზი სხვაც არის: „უოლკოტის გარდა ნაკრებს დევიდ ბენტლი და შონ რაიტ-ფილიპსიც ეზრდება, რაც მარჯვენა ფრთაზე დიდი კონკურენციის წინაპირობაა.

ყოფილმა ლივერპულელმა ასე ბრძანა:

„თუ დააკვირდებით როგორ თამაშობს ბენტლი და გაიხსენებთ, რომ მის უკან კიდევ რაიტ-ფილიპსიც დგას, დარწმუნდებით, რომ ნაკრების მარჯვენა ფრთა საიმედო ხელშია.

დევიდ ბექემი? ის, როგორც კუთხურების და ჯარიმების სპეციალისტი, რასაკვირველია, ძალას წარმოადგენს, მაგრამ კარგად თუ გავიხსენებთ, მას არც ამაში უვარგია ბოლო 10 წლის განმავლობაში და რა გარანტიაა, რომ მომავალში გამოდგება?“

შემდეგ ბარნსი ერთხელაც დაუბრუნდა თეო უოლკოტის თემას:

„რასაკვირველია, ის დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ მოდი, მისი ქება ზედმეტადაც ნუ გაგვიტაცებს. გახსოვთ, 2006 წელს უოლკოტი ცაში რომ ავიყვანეთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე გავამგზავრეთ, მისი კარიერა 18 თვით თუ ორი წლით შეყოვნდა. მოდი, ამ ყმაწვილს განვითარების საშუალება მივცეთ“.

**ბაკუნა ძიდია**

# 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## კონკაკაფი. III ტური

### I ჯგუფი

**აშშ 3:0 ტრინიდადი**

1:0 ბრედლი (12), 2:0 დემპსი (18), 3:0 ჩინგი (57)

**გვატემალა 4:1 კუბა**

0:1 ლინარესი (25), 1:1, 2:1 რუისი (38, 55), 3:1 როდრიგესი (86), 4:1 კონტრერასი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| გვატემალა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ტრინიდადი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| კუბა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

### II ჯგუფი

**მექსიკა 2:1 კანადა**

1:0 ბრავო (58), 2:0 მარკესი (72), 2:1 გერბა (77)

**ჰონდურასი 2:0 იამაიკა**

1:0 ნუნიესი (60), 2:0 გევარა (73პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ჰონდურასი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| კანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| იამაიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### III ჯგუფი

**სურინამი 0:2 სალვადორი**

0:1 მარტინი (1), 0:2 ზელეია (12)

**ჰაიტი 1:3 კოსტა რიკა**

0:1 გონსალესი (12), 1:1 ალკენატი (38), 1:2 გონსალესი (73), 1:3 ალპიზარი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| სალვადორი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| ჰაიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:10 | 1 |
| სურინამი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:11 | 1 |

## ოკეანეთი. VI ტური

**ვანუატუ 2:1 ფიჯი**

1:0 საკამა (57), 1:1 დუნადამუ (90), 2:1 მალასი (90)

**ახ. ზელანდია 3:0 ახ. კალედონია**

1:0 სმელცი (50), 2:0 კრისტი (69), 3:0 სმელცი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 5 | 5 | 0 | 0 | 14:3 | 15 |
| ახ. კალედონია | 6 | 2 | 2 | 2 | 12:10 | 8 |
| ფიჯი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ვანუატუ | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | 4 |

## აზია

II ტური

### I ჯგუფი

**უზბეკეთი 0:1 ავსტრალია**

0:1 ჩიპერფილდი (28)

**ყატარი 1:1 ბაჰრეინი**

1:0 კინტანა (9), 1:1 ფატადი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| იაპონია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბაჰრეინი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| უზბეკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### II ჯგუფი

**ჩრდ. კორეა 1:1 ს. კორეა**

1:0 იო (64პ), 1:1 იენგი (69)

**საემიროები 1:2 ს. არაბეთი**

1:0 ხატერი (23), 1:1 აუტეფი (68), 1:2 ფრაიდი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| საუდეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კორეა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ირანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| საემიროები | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## აფრიკა

### X ჯგუფი

V ტური

**ჩადი 1:3 სუდანი**

0:1 ადელი (4), 1:1 ჯიმე (34), 1:2 სიდო (48პ), 1:3 ფარაპი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 9 |
| კონგო | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| სუდანი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| ჩადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 |

### XI ჯგუფი

IV ტური

**ზამბია 1:0 ტოგო**

1:0 კატონგო (32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზამბია | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| სვაზილენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ტოგო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |

# იყიდება ხაზი



**მართალია** ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ ამქვეყნად ყველაფერი იყიდება: ინგლისელ (თუმცა, რატომ მხოლოდ ინგლისელ?) გულშემატკივარს პირველად ეძლევა მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალის მოედნის ფრაგმენტის, უფრო სწორედ კი, კარის ხაზის ყიდვის საშუალება.

დიახ, დიახ, არაფერი მოგჩვენებიათ, ყველაფერი სწორად გაიგეთ — საუბარია ზუსტად იმ ადგილზე, რომლის გამოც ბოლო 42 წელიწადია, კამათობენ. შეგახსენებთ, რომ 66-ის ფინალში ერთმანეთის პირისპირ ინგლისისა და გერმანიის ნაკრებები იდგნენ, ხოლო ჯეფ ჰერსტის გოლმა (რომელიც ან იყო და ან არა) ანგარიში გაათანაბრა, 2:2 გახადა.

უფრო ზუსტად, ეპიზოდი ასეთი გახლდათ: ჰერსტის დარტყმული გერმანელთა მეკარეს, ჰანს ტილკოვსკის გადაცდა, ხარიხას მოხვდა და მის უკან ჩავარდა, მაგრამ ზუსტად რა ადგილას? გერმანელები დღემდე დავობენ. მათი და მსოფლიოს ერთი ნაწილის მტკიცებით, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, თუმცა გოლი ჩაითვალა.

საბოლოოდ ინგლისმა 4:2 მოიგო. ისტორიას შემორჩა მაშინდელი კომენტატორის, კენეტ უოლსტენჰოლმის უკვდავი ფრაზა: „ხალხის ნაწილი მოედანზე ჩავიდა. მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი დასრულდა. ახლა იწყება“.

გერმანიასთან გამარჯვებიდან სამი წლის შემდეგ კი „უემბლიზე“ ბალახი შეცვალეს. მაშინ, მოედნის მომვლელმა, ხსენებული კარის ხაზი TV sports-ის აღმასრულებელ შეფს, ბობ გერდემს მისცა. მისტერ გერდემმა ის შინ წაიღო და საგულდაგულოდ მაქსოვა საკუთარ ეზოში გახარებულ კორიდორს. ახლა, ამ სახლის ახალი მეპატრონე რელიქვიას ეროვნული ფეხბურთის მუზეუმს უძღვნის, თუმცა ისტორია ამით არ მთავრდება: ხაზს შეიდ ნაწილად ჭრიან და აუქციონზე ყიდიან. შემოსავალს UNICEF UK საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოიყენებს.

**ბაკუნა ძიდია**

# ლონდონური ძოლისხმევა



**ჯანფრანკო ძოლა** ლონდონში დაბრუნდა! ინგლისის დედაქალაქის ერთი ნაწილის საყვარელი იტალიელი „ვესტ ჰემის“ მწვრთნელობას დაყაბულდა, რასაც, ზოგი მიმომხილველის აზრით, შესაძლოა გართულებებიც მოჰყვეს.

„ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი, რომელიც დღეს უკვე 42 წლისაა, კონტრაქტის თანახმად, „აპტონ პარკზე“ სამი წლით დარჩება. მისი გასამრჯელო 4,5 მილიონი გირვანქა უნდა იყოს.

ცნობისათვის: „ვესტ ჰემს“ უცხოელი მწვრთნელი არასდროს ჰყოლია.

როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, სარდინიელი საქმეს ორშაბათამდე მაინც არ შეუდგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ რანგში მისი პირველი ოფიციალური თამაში მომდევნო შაბათს, „ნიუკასლთან“ შედგება. როგორც ამბობენ, „ვესტ ჰემის“ გაძღოლაში ძოლას დაეხმარებიან მისებრ ყოფილი ჩელსელი სტივ კლარკი, რომელიც ახლაც „ლურჯებში“ მუშაობს, და ანტონიო პინტუსი, რომელიც თავის დროზე ასევე „სტემფორდ ბრიჯზე“ მუშაობდა ფიზმომზადების დარგში.

ჯანფრანკო ძოლამ „ჩელსიში“ შვიდი წელიწადი გაატარა და იქაურობა 2003 წელს დატოვა.

**ბაკუნა ძიდია**

## გუტიერესი დაშავდა

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფერუელმა ახალწვეულმა ხონას გუტიერესმა არგენტინასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მხარი დაიშავა და მწყობრიდან გაურკვეველი დროით გამოვიდა.

„ხონასმა მარჯვენა მხრის ტრავმა მიიღო, მაგრამ სანამ რაიმე დიაგნოზს გამოვიტანთ, ფეხბურთელმა რამდენიმე სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს“ — განაცხადა არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრესატაშემ ანდრეს ვენტურამ.

## ხეტაფეს მესამე მეკარე

**ესპანურ** „ხეტაფეს“ ორი არგენტინელი მეკარე, რობერტო აბონდანსიერი და ოსკარ უსტარი, ტრავმირებული ჰყავს, რის გამოც პრიმერადივიზიონის უახლოეს მატჩში სევილიის „ბეტისთან“ კარში ჩადგომა კლუბის მესამე მეკარეს, 25 წლის ხაკობოს მოუწევს. აბონდანსიერიმ პარაგვაისთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მუხლი დაიშავა, ხოლო უსტარი ოლიმპიადაზე მიღებული ტრავმის შემდეგ სულ ცოტა ნახევარი წელი დასვენება მოუწევს.

## რობი როვერსს შეუთანხმდა

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა რობი ფაულერმა „ბლექბერნ როვერსთან“ სამთვიანი ხელშეკრულების პირობები შეათანხმა. კონტრაქტის მიხედვით, 33 წლის ფორვარდი ყოველი ჩატარებული მატჩისთვის ცალკე თანხას მიიღებს. რობი „როვერსთან“ ერთად ივნისიდან ვარჯიშობს და მისი დებიუტი კლუბში, შესაძლოა, უკვე „არსენალთან“ შაბათის მატჩში შედგეს.

## ტიმო ზამთრამდე მოიცდის

**პრიმერადივიზიონის** „ვალენსიას“ გოლკიპერმა ტიმო ჰილდებრანდმა, რომელიც „ღამურების“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, განაცხადა, რომ ესპანურ კლუბში ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე დარჩება. თუ ამ პერიოდის განმავლობაში გერმანელი მეკარე „ვალენსიაში“ თავის ძველ პოზიციებს ვერ აღადგენს, მაშინ კლუბის დატოვება მოუწევს.

## მაკარონემ გაახანგრძლივა

**იტალიური** „სიენას“ თავდამსხმელმა მასიმო მაკარონემ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, 29 წლის ფეხბურთელი ტოსკანურ კლუბში 2012 წლამდე დარჩება.

**არჩილ ძოზახიძე**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



ნიკლას ბენდტნერმა პორტუგალიის პირველობა უპასუხა

## ოქტომბრიდან სექტემბრამდე თორმეტი წელია

I ჯგუფი

**ალბანეთი 3:0 მალტა**

1:0 ბოგდანი (45), 2:0 დურო (83), 3:0 დალკუ (89)

**ალბანეთი:** დეგაი (ბულკუ 55), დალკუ, ცური, ცანა, დურუ (ბერიშა 81), ლალა, ბეჩირი, შიკა, ვანგელი, შკელა, ბოგდანი (სალიჰი 73)

მწვრთნელი: არი ჰაანი

**მალტა:** ჰაბერი, კსიუერები, ბრიფა, დინეში, სამუტი, რ. ბაიადა, შ. ბაიადა (ფრენდო 46), აჟიუსი, პეისი, მიფსუდი, შემბრი

მწვრთნელი: დუშან პიტცელი

გაფრთხილება: ცანა, ბეჩირი, დალკუ, ფრენდო

მსაჯი: შერგენჰოფერი (ავსტრია)

**შვედეთი 2:1 უნგრეთი**

1:0 კალსტრიომი (55), 2:0 ჰოლმენი (64), 2:1 რუდოლფი (90)

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, ჰანსონი, ს. ლარსონი, ჰოლმენი, ანდერსონი, კალსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი (როზენბერგი 81), ჰ. ლარსონი

მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი

**უნგრეთი:** ბაბოში, ბოდნარი, ვანჩაკი, იუჰაში, შელესი, ვადოში, დარდაი (რუდოლფი 70), გერა, ჰაინალი, ჟუჟაკი (ბოდორი 80), ჰუშტი

მწვრთნელი: ერვინ კუმანი

გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, გერა, ჰაინალი

მსაჯი: მაიერი (გერმანია)

**პორტუგალია 2:3 დანია**

1:0 ნანი (42), 1:1 ბენდტნერი (84), 2:1 დეკუ (86პ), 2:2 პოულსენი (89), 2:3 იენსენი (90)

**პორტუგალია:** კიმი, ბოსინგვა, პეპე, კარვალიუ, პ. ფერეირა, მეირელეში, ნანი, მანიშე, დეკუ, სიმაუ (დანი 72), უგუ ალმეიდა (ნუნუ გომეში 72)

მწვრთნელი: კარლუშ კეიროში

**დანია:** ანდერსენი, იაკობსენი (სილბერბაუერი 46), ლაურსენი, პაგერი, რომედალი, დ. იენსენი, ანდრეასენი, პოულსენი, ლოვენკრანდსი (ბორინგი 71), ტომასონი, ბენდტნერი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

გაფრთხილება: ნანი, დანი, ტომასონი

მსაჯი: ვები (ინგლისი)

**პორტუგალიას** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაში 1996 წლის 5 ოქტომბრის შემდეგ არ წაეგო და დანიასთან დრამატულ მატჩში ბოლო წუთებზე დამარცხდა. 1996-ში კიევში უკრაინამ პორტუგალიელებს 2:1 მოუგო.

„ასე წაგება ძალიან საწყენია — თქვა კარლუშ კეიროშმა — უპირატესობა გვქონდა, მაგრამ შანსის გამოუყენებლობას დანიის დონის მეტოქე არ გაპატიებს. მოგება შევძელი და სტუმრებს კიდეც ვჯობდით, თუმც ჩვენგან გაცუდებულმა ორმა ასპროცენტიანმა მომენტმა მათ თავდაჯერებულობა შემატა და აქეთ შემოგვიტიეს. დღეს დაკარგული სამი ქულა მომდევნო მატჩში უნდა ავინაზღაუროთ“.

„უნგრეთში და პორტუგალიაში პირველად შევძელით ქულების ალება — ხარობდა მორტენ ოლსენი — ნამდვილად არ ველოდი, რომ ამ ორი გასვლითი მატჩიდან ოთხი ქულით დავბრუნდებოდით“.

სიმაუმ კარის წინ გაუგორა ბურთი ნანის და მანჩესტერელმა ხუთი მეტრიდან გაიტანა.

საჯარიმოში მარცხნიდან შესული ბენდტნერი მცველს გასცდა და მოჭრილი დარტყმით ბურთი შორ კუთხეში შეასრიალა.

ნუნუ გომეშის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დეკუმ გამოიყენა და მასპინძლებს თამაში დამთავრებული რომ ეგონათ, დანია მაშინ გაცოცხლდა.

კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთის მოსაგერიებლად გამოსული მეკარე კიმი შეცდა, კრისტიან პოულსენმა კი თავურით გაათანაბრა.

ბოლო წამზე დანიელ იენსენმა შორიდან დაარტყა, ბურთი პეპეს მხარში მოხვდა და იმ კუთხეში წავიდა, სადაც კიმი არ იდგა.

ალბანელებმა მალტელები კუნძულზე ხელცარიელნი გაისტუმრეს, გოლები კი ტაიმების დასასრულს გავიდა. ბოგდანიმ თავურით გაიტანა, ხოლო დურომ მცველის შეცდომით ისარგებლა — რომელმაც კარის წინ ბურთს ფეხი ააცილა — და ახლოდან შეაგდო.

ბოლოსწინა წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულს დალკუმ თავი საგოლედ დაუხვედრა.

„ძალიან კარგი დასაწყისია — ბრძანა არი ჰაანმა — ორ მატჩში ოთხი ქულა ავიღეთ და გოლი არ გაგვიშვია. გუნდს პროგრესი ეტყობა და ასე უნდა გავაგრძელოთ.“

შვედების კაპიტანმა, 37 წლის ჰენრიკ ლარსონმა 101-ე სანაკრებო მატჩში ვერ გაიტანა, მაგრამ ორი საგოლე პასი მიითვალა. მისი პასით ჯერ კალსტრიომმა იხეირა, მერე კი ჰოლმენმა. უნგრელმა რუდოლფმა ბოლო წუთზე სხვაობა შეამცირა — ბურთი კარში მკერდით შეიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## საუკუნეში ერთხელ ლუქსემბურგიც ისვრის

II ჯგუფი

**ლატვია 0:2 საბერძნეთი**

0:1, 0:2 გეკასი (10, 49)

**ლატვია:** მანინი, გორკსი, კაჩანოვი, კლავა, სტეპანოვი, ასტაფიევი, ლაიზანსი, პერეპლეტკინი, სოლონიცინი (რუბინი 65), ვერპაკოვსკისკი, კარლსონი (გრებისი 60)

მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვი

**საბერძნეთი:** ჰალკიასი, სეიტარიდისი, დელასი, კირიაკოსი, ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, კაცურანისი, კარაგუნისი (ბასინასი 62), სამარასი (ლიბეროპულოსი 88), ხარისტიასი, გეკასი (სალპინგიდისი 77)

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

გაფრთხილება: კლავა

მსაჯი: შაპრონი (საფრანგეთი)

**მოლდოვა 1:2 ისრაელი**

1:0 პიკუშიაკი (1), 1:1 გოლანი (39), 1:2 საბანი (45)

**მოლდოვა:** ნამაშკო, ლაშჩენკოვი, გოლოვატენკო, რებეჯა, ეპურიანუ, კორნეეკოვი (სავინოვი 27), ბორდიიანი, ფრუნზე (ალექსეევი 69), პიკუშჩაკი, კომლენოკვი (ანდრონიკი 77), სუვოროვი

მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი

**ისრაელი:** ავატე, კოზოკინი (საბანი 37), ბენ ჰაიმი, კოენი (კაიალი 67), ტოამა, გოლანი, კეინანი, ოჰაიონი, ზივი, ბენაიუნი, საჰარი (ბუზაგლო 5)

მწვრთნელი: დრორ კაშტანი

გაფრთხილება: ეპურიანუ, ლაშჩენკოვი, კოენი

გაძევება: გოლოვატენკო (64)

მსაჯი: მუნიოსი (ესპანეთი)

**შვეიცარია 1:2 ლუქსემბურგი**

0:1 შტრასერი (29), 1:1 ნკუფო (43), 1:2 ლევეკი (86)

**შვეიცარია:** ბენალიო, გრიხტინგი, ჟურუ, ნეფი (ფონვანტენი 72), მანინი, ბარნეტა, ინლერი, შტოკერი, იაკინი, რაი (ლუსტრინელი 65), ნკუფო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

**ლუქსემბურგი:** ჟობერი, მუტში, შტრასერი, ჰოფმანი, კინციგერი, პეტერსი, პაიალი, ბეტმერი, ლანგი (ლევეკი 45), ლომბარდერი (გერსონი 76), კიტენგე (იოაჰიმი 66)

მწვრთნელი: გაი ჰელერსი

გაფრთხილება: იაკინი, ლუსტრინერი, ფონანტენი, კიტენგე, ჰოფმანი, კინციგერი, ლომბარდერი, შტრასერი

მსაჯი: ფილიპოვიჩი (სერბეთი)

**ოტმარ ჰიცფელდის** პირველი საშინაო შესარჩევი მატჩი კოშმარით დასრულდა — ფიფას რეიტინგში 153-ე ადგილზე მყოფმა ლუქსემბურგმა შვეიცარია ციურიხში შეარცხვინა. ლუქსემბურგს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციოში 1972 წლის აქეთ არ მოეგო და ოთხშაბათს ძალიან მონდომა.

ჯეფ შტრასერმა მასპინძლებს საჯარიმო დარტყმით გაუტანა, ბლეზ ნკუფომ კი თავურით გაათანაბრა.

მეორე ტაიმში ჰიცფელდმა ლუსტრინელი და ფონლანტენი შეუშვა შეტევის გასაძლიერებლად, მაგრამ გოლი მაინც შვეიცარიელთა კარში გავიდა. სტუმრებმა დამუშავებული სტანდარტულით იხეირეს. შტრასერის პასით ალფონს ლევეკმა შეაგდო და ლუქსემბურგელთა სათადარიგო სკამთან ამ ნაკრებისთვის იშვიათი ზეიმი გაიმართა.

ისრაელმა ზედიზედ მეორე მატჩში გამოავლინა ბრძოლის უნარი. შაბათს შვეიცარიასთან ორბურთიანი სხვაობა გააბათილა, ამჯერად კი მოლდოვაში აგებდა და მოიგო.

პირველივე წუთზე, ფლანგური შეტევისას, სუვოროვმა საჯარიმოში ჩააწოდა და პიკუშაკმა თავურით შეაგდო. ამის მერე მასპინძლებს ცენტრალური მცველი კორნეენკოვი დაემტვრათ და დაცვაც აირია.

ომერ გოლანმა რადუ რებეჯას შეცდომა შეირგო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაათანაბრა, საბანმა კი საჯარიმოს ხაზიდან მეორე გაიტანა. შესვენების შემდეგ მოლდოვას გოლოვანენკო გაუძევეს და ათი კაცით ქულის გადარჩენა მათ ველარ მოახერხეს.

საბერძნეთმა სტუმრად ლუქსემბურგთან მოგებას ლატვიასთან გამარჯვებაც მიაყოლა და ექსტულიანი ნანადირევით შინ დაბრუნდა.

თეოფანის გეკასმა პირველი გოლი ფეხით, მეორე კი თავით შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ლუქსემბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## კეკმა ღრუბლებთან კიბე მიიტანა

III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 0:0 ჩეხეთი**

**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, მაკარტნი, ევანსი, ჰიუზი, კრეიგანი, გილესპი (შილზი 84), კლინგანი (ოკონორი 46), ბეირდი, ბრანტი, ჰილი, ფინი (პატერსონი 72)

მწვრთნელი: ნაიჯელ უორტინგტონი

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, კოვაჩი, პოლაკი, სიონკო (პოსპეხი 67), პლაშილი, შირლი, ბაროში (სლეპიჩკა 76)

მწვრთნელი: პეტრ რადა

გაფრთხილება: უიფალუში, კოვაჩი

მსაჯი: ბებეკი (ხორვატია)

**სლოვენია 2:1 სლოვაკეთი**

1:0, 2:0 ნოვაკოვიჩი (23, 81), 2:1 იაკუბკო (83)

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, ბრეჩკო, შულერი, ცესარი, ილიჩი, შიშიჩი, კომაჩი, კირმი (მატიჩი 90), კორენი, ნოვაკოვიჩი, დედიჩი (ლიუბლიანკიჩი 77)

მწვრთნელი: მატიას კეკი

**სლოვაკეთი:** სენეცკი, პეტრაში, შკრტელი, დურიცა (კოზაკი 80), პეკარიკი, კარჰანი, შტრბა (იაკუბკო 58), საპატა, ჰამშიკი, ვიტეკი, გოლოშკო (შვენტო 47)

მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი

გაფრთხილება: ცესარი, მატიჩი, შულერი, სენეცკი, დურიცა

მსაჯი: მოენი (ნორვეგია)

**სან მარინო 0:2 პოლონეთი**

0:1 სმოლარეკი (35), 0:2 ლევანდოვსკი (69)

სელვამ ვერ გაიტანა პენალტი (3)

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი (ფ. ვალენტინი 73), კ. ვალენტინი, მიკელე მარანი, ალბანი, დ. სიმონჩინი, ბერეტი (მაურო მარანი 78), ბული, ვიტაიოლი, ბოლინი (ვანუკი 47), სელვა, მანუელ მარანი

მწვრთნელი: ჯანპაოლო მაცა

**პოლონეთი:** ფაბიანსკი, იოპი, ვოიტკოვიაკი, ჟევლაკოვი, კოვალჩიკი (კრჟინოვეკი 28), ბლაშჩიკოვსკი, მ. ლევანდოვსკი, როჟერი, საგანოვსკი (რ. ლევანდოვსკი 62), პიშჩეკი (მურავსკი 89), სმოლიარეკი

მწვრთნელი: ლეო ბენჰაკერი

გაფრთხილება: ბერეტი, დ. სიმონჩინი, მიკელე მარანი, მაურო მარანი

მსაჯი: ზოგრაფოსი (საბერძნეთი)

**სან მარინოს** ფორვარდმა ენდი სელვამ მესამე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა — ლუკაშ ფაბიანსკიმ აუღო. პოლონელებმა კი ბევრი მომენტიდან მხოლოდ ორი გამოიყენეს.

ები სმოლიარეკმა მეკარის მოგერიებულს დაამატა და ანგარიში გახსნა, ხოლო მარიუშ ლევანდოვსკიმ ძელიდან უკუგდებული ბურთი კარში შეაბრუნა.

„კიდევ ერთი ნაბიჯი წინ — თქვა სლოვენიელთა მწვრთნელმა მატიას კეკმა სლოვაკებთან გამარჯვების შემდეგ — ჩემი ბიჭები დიდებულად თამაშისთვის ქებას და მადლობას იმსახურებენ. არც მოტივაცია გვაკლდა და მომენტებიც ბლომად შევქმენით. ღრუბლებიდან მიწაზე მალე უნდა დავეშვათ და მომდევნო მატჩებისთვის მოვემზადოთ“.

სლოვენიელთა ფორვარდი მილივოე ნოვაკოვიჩი კარგ ფორმაშია. „კიოლნის“ ლეგიონერმა ბუნდესლიგის სამ ტურში ამდენივე გოლი მიითვალა, შაბათს პოლონეთთან საგოლე პასი გაიფორმა, ამჯერად კი სლოვაკებთან დუბლი შეასრულა.

პირველი გოლი ნოვაკოვიჩმა საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა, მერე კი ორი მცველი ჩამოიტოვა და მეორე შეაგდო.

მარტინ იაკუბკომ წუთის შემდეგ სხვაობა შეამცირა, დარჩენილი დრო კი სლოვენიელებმა დაცვაში გაატარეს.

ბელფასტში ჩეხთა ნაკრების ახალი მწვრთნელის პეტრ რადას დებიუტი შედგა. სტუმართაგან მილან ბაროშმა და რადოსლავ კოვაჩმა პირველ ტაიმში მომენტები ვერ გამოიყენეს. ორივეს თავურები აუცდა. მეორეში კი ორივე გუნდს შეეძლო გატანა. ერთ ეპიზოდში პეტრ ჩეხის მოგერიებული ბურთის კარში შეგდება კრის ბრანტმა ვერ მოახერხა.

„ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან კარგად ვითამაშეთ და მოგების შანსიც გვქონდა. დევიდ ჰილის ზედიზედ სამი მატჩია, არ გაუტანია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ფორმაში ჩადგება და ძველებურად ათამაშდება“ — განაცხადა ჩრდილოირლანდიელთა მწვრთნელმა ნაიჯელ უორთინგტონმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



## კლოზე — პასუხი სამივე გოლზე

**IV ჯგუფი**

**რუსეთი 2:1 უელსი**

1:0 პავლიუჩენკო (22პ), 1:1 ლედლი (67), 2:1 პოგრებნიაკი (81)
ბეილმა ვერ გაიტანა პენალტი (17)
**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, კოლოდინი, იგნაშევიჩი, ტორბინსკი (საენკო 59), სემშოვი, პავლიუჩენკო (ბისტროვი 90), არშავინი, სემაკი (პოგრებნიაკი 74), ზირიანოვი, ჟირკოვი
**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი
**უელსი:** ჰენესი, განტერი, ბეილი, ფლეტჩერი, მორგანი, უილიამსი, დევისი, რობინსონი (რიკეტსი 46), ვოუკსი (ჩ. ევანსი 62), ედვარდსი (ს. ევანსი 77), ლედლი
**მწვრთნელი:** ჯონ ტოშაკი
**გაფრთხილება:** რობინსონი, უილიამსი, ედვარდსი, რიკეტსი
**მსაჯი:** სკომინა (სლოვენია)

**აზერბაიჯანი 0:0 ლიხტენშტაინი**

**აზერბაიჯანი:** აგაევი, მელიკოვი, იუნისოღლუ, ბახშიევი, სადიგოვი, აბასოვი, მამედოვი (გომესი 64), გურბანოვი, ჩერტოგანოვი, სუბაშიჩი, ჯავადოვი (ჰუსეინოვი 46)
**მწვრთნელი:** ბერტი ფოგტსი
**ლიხტენშტაინი:** იელე, რიცბერგერი (ოერი 20), დელია, გერსტერი, შტოკლაზა, ფიშერი, ფრიკი, ბურგმაიერი, ბუხელი, კრისტენი, პოლვერინო (როორერი 46)
**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ზაუმი
**გაფრთხილება:** ბახშიევი, პოლვერინო, ბუხელი
**მსაჯი:** გეორგიევი (ბულგარეთი)

**ფინეთი 3:3 გერმანია**

1:0 იოჰანსონი (37), 1:1 კლოზე (38), 2:1 ვაირინენი (43), 2:2 კლოზე (45), 3:2 სიოლუნდი (53), 3:3 კლოზე (83)
**ფინეთი:** იასკალაინენი, პასანენი, კალიო, ჰიიპია, ვაილინენი (კუკი 75), ერიომენკო, ფორსელი (სიელუნდი 41), კოლკა, ლამპი, ჰეიკინენი, იოჰანსონი
**მწვრთნელი:** სტიუარტ ბაქსტერი
**გერმანია:** ენკე, ფრიცი (ჰინკელი 82), ვესტერმანი, თაშჯი, როლფესი (გომესი 82), შვაინშტაიგერი, პოდოლსკი, კლოზე, ტროხოვსკი, ჰიტცლშპერგერი (გომესი 69), ლამი
**მწვრთნელი:** იოაჰიმ ლიოვი
**გაფრთხილება:** კალიო
**მსაჯი:** კაშაი (უნგრეთი)

**იოახიმ ლიოვის** ექსპერიმენტმა — ვესტერმანი და თაშჯი დაცვის ცენტრში — ლიხტენშტაინთან გაამართლა, ფინეთთან კი საშინელი იყო.

„ეს ბიჭები ახალგაზრდები და გამოუცდელები არიან, მაგრამ მაინც ვენდობი“ — განაცხადა გერმანელთა მწვრთნელმა ჰელსინკური მატჩის შემდეგ.

ვესტერმანმა და თაშჯიმ ჯონათან იოჰანსონი მეკარე ენკემდე მიაცილეს და თავის კარში პირველი გოლი ნახეს.

ფინელთა დაცვაც არ ბრწყინავდა, რადგან მიროსლავ კლოზემაც საპასუხო იოლად გაიტანა.

მიკა ვაირინენმა „მაკრატელათი“ შეაგდო და მასპინძლები კვლავ დააწინაურა, მაგრამ კლოზე ისეთ იშტაზე იყო, რომ პასუხი არ დაუგვიანებია, მეკარის მოგერიებულს ორი მეტრიდან დაამატა — 2:2.

ფინეთმა მესამედაც გაიხარა, როცა სიოლუნდმა თავურით გაუტანა ენკეს, მაგრამ გერმანელები მაინც ვერ გატეხა.

გომესის წამოწყებული შეტევა იმით დამთავრდა, რომ საჯარიმოში ბურთი ფინელი მცველებისგან მიროსლავ კლოზეს მოუვიდა და „ბაიერნის“ ფორვარდმა ჰეთ თრიქი გაიფორმა.

„ბოლო ხანებში კლოზეს აკრიტიკებდნენ, მე კი მისი მჯეროდა და აღმოჩნდა, რომ მართალი ვყოფილვარ“ — ბრძანა იოახიმ ლიოვმა.

უელსელმა გარეთ ბეილიმ მოსკოვში რუსებთან მეჩვიდმეტე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა — აკინფეევმა აჯობა. რომან პავლიუჩენკომ კი ხუთი წუთის შემდეგ თავისი შანსი შეირგო — ასევე თერთმეტი მეტრიდან შეაგდო.

სტუმრებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს. ბეილი ორ მცველში გაძვრა და კარის წინ ლედლის გაუგორა, რომელმაც ახლოდან გაიტანა.

გუს ჰიდინკმა შეცვლაზე პოგრებნიაკი შეუშვა და გამოიცნო. ზირიანოვის თავური მეკარემ მოიგერია, პოგრებნიაკმა კი დამატა — 2:1.

ბერტი ფოგტსის აზერბაიჯანმა კი ლიხტენშტაინი გაახარა — ბაქოდან ქულა გაატანა. სტუმრებს 81-ე წუთზე ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ. მარიო ფრიკი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი თავზე გადაავლო, მაგრამ მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 9:3 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |

## ესპანეთმა უპრობლემოდ დაიწყო

**V ჯგუფი**

**ესპანეთი 4:0 სომხეთი**

1:0 კაპდევილა (7), 2:0, 3:0 ვილია (16, 79), 4:0 სენა (82)
**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი, ალბიოლი, პუიოლი, კაპდევილა, სენა, ინიესტა, ხავი (ფაბრეგასი 73), კასორლა (კრკიჩი 65), ვილია, გუისა (ხაბი ალონსო 55)
**მწვრთნელი:** ვისენტე დელ ბოსკე
**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ოვსეპიანი, არზუმანიანი, ვოსკანიანი, ხიტარიანი, გაზარიანი (ანეარამიანი 53), მელკონიანი (მანუკარიანი 46), ალექსანიანი (ხაჩატრიანი 79), პაკანიანი, კარამიანი, თათოესიანი
**მწვრთნელი:** იან პოულსენი
**გაფრთხილება:** ალექსანიანი, პაკაიანი
**მსაჯი:** ასუმა (ფინეთი)

**თურქეთი 1:1 ბელგია**

0:1 სონკი (31), 1:1 ემრე (74პ)
**თურქეთი:** დემირელი, სერვეტი, ჩაგლარი, ემრე, გიოკხანი, არდა, ტოპალი (მევლუდი 69), სემიჰი, თუნჯაი (ჰალილ ალთინთოფი 13), კაზიმი (მეჰმეთი 46)
**მწვრთნელი:** ფატიჰ თერიმი
**ბელგია:** სტეინენი, სიმონსი, კომპანი, დეფური (მუდინგაი 46), ვიტცელი (დემსი 77), სონკი (დე სუტერი 45), ვერმელენი, ვორტონგენი, სვერცი, ფელაინი, დემბელე
**მწვრთნელი:** რენე ვანდერეიკენი
**გაფრთხილება:** ტოპალი, სემიჰი, სვერცი, უდინგაი, ვერმელენი, სტეინენი
**მსაჯი:** ლანუა (საფრანგეთი)

**ბოსნია 7:0 ესტონეთი**

1:0, 2:0, 3:0 მისიმოვიჩი (25, 29პ, 57), 4:0 მუსლიმოვიჩი (58), 5:0, 6:0 ჯეკო (60, 72), 7:0 იბრიჩიჩი (88)
**ბოსნია:** ჰასაგიჩი, ბერბეროვი, სპახიჩი, მურატოვიჩი (იბრიჩიჩი 74), რაჰიმიჩი, დამიანოვიჩი, მუსლიმოვიჩი, მისიმოვიჩი (პიანიჩი 69), ჯეკო, ნადარევიჩი, სალიხოვიჩი
**მწვრთნელი:** მიროსლავ ბლაჟევიჩი
**ესტონეთი:** ლონდაკი (აკსალუ 72), რახი, ბერენგრუბი, დმიტრიევი (სააგი 68), პური, ოპერი, ლინდპერე (კრუგლოვი 68), ვუნკი, ვასილიევი, კლავანი, იააგერი
**მწვრთნელი:** ტარმუ რუუტლი
**გაფრთხილება:** ნადარევიჩი, კლავანი
**მსაჯი:** ბალაი (რუმინეთი)

**ვისენტე დელ ბოსკეს** ესპანეთმა შესარჩევი ეტაპის მეორე მატჩიც უპრობლემოდ მოიგო. პირენეელებმა სომხეთი ოთხი უპასუხო გოლით ამოავსეს.

ანგარიში ხოან კაპდევილამ გახსნა დებიუტშივე გატანილი გოლით. ამას ევრო 2008-ის საუკეთესო ბომბარდირის დავიდ ვილიას დუბლი მოჰყვა, ხოლო წერტილი მარკოს სენამ დასვა. სხვათა შორის, კაპდევილას გოლი ესპანეთისთვის მეათასე იყო შესარჩევ ეტაპზე.

აღვნიშნოთ ისიც, რომ მეორე ტაიმში მინდორზე შევიდა „ბარსელონას“ 18 წლის თავდამსხმელი ბოიან კრკიჩი და ეროვნულ ნაკრებში მისი ნანატრი დებიუტიც შედგა.

„კმაყოფილები ვართ, რადგან პირველი ორი მატჩი სახლში გვქონდა და მათი მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მიზანს მივაღწიეთ კიდეც. თუმცა სომხეთთან შეხვედრა ისე მარტივი როდი გახლდათ, როგორც ანგარიშიდან ჩანს“ — თქვა კაპდევილამ.

| 04:00 | 426 | ბანფილდი-კოლონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:15 | 428 | ნიუელსი-ლანუსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 01:50 | 429 | ხიმნასია ჟ-ურაკანი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 14 სექტემბერი | | | | | | |
| 04:00 | 425 | რასინგი-ტიგრე | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:15 | 427 | სან მარტინი-გოდოი კრუზი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 21:15 | 430 | ველესი-ესტუდიანტესი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:15 | 431 | ბოკა ხუნიორსი-ინდეპენდიენტე | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| 01:20 | 433 | ხიმნასია ლპ-არგენტინოს ხუნიორსი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 01:20 | 434 | სან ლორენსო-როსარიო | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 01:40 | 432 | არსენალი-რივერ პლეიტი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10028 | ჰარტლპული-ჩელტენემი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10108 | აინტრახტი-კარლსრუე | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10111 | ალემანია-ინგოლშტადი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10115 | კაიზერსლაუტერნი-ზტ.პაული | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10117 | ობერჰაუზენი-ალენი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10155 | პიაჩენცა-ლივორნო | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10160 | სასუოლო-გროსეტო | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10211 | ბასტია-ამიენი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10212 | ბრესტი-აიაჩო | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10213 | შატორუ-გენგამი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10214 | კლერმანი-ტრუა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10215 | დიჟონი-მონპელიე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10217 | ნიმი-ტუარი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10218 | რეიმსი-ბულონი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10219 | სედანი-სტრასბური | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10220 | ვანი-ანჟე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10248 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10257 | ტელსტარი-ვალვაიკი | 4.35 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10258 | ემენი-ექსელსიორი | 3.75 | 2.00 | 2.40 | 1.30 | 1.46 | 1.09 |
| 10259 | ჰელმონდი-კამბური | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10260 | იგლსი-ეინდჰოვენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10261 | აპელდორნი-ომნივორდი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10262 | ოსი-ზვოლე | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10263 | სიტარდი-ჰაარლემი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10264 | ვენლო-დენ ბოსხი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10265 | დორდრეხტი-ვეენდამი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10266 | როზენდალი-მაასტრიხტი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10023 | საუთენდი-ჰერეფორდი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10024 | სუინდონი-ლიდსი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10025 | როჯერსი-უოლსოლი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10026 | იოვილი-ბრაიტონი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10027 | ქრიუ-კოლჩესტერი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10029 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10030 | ლესტერი-მილუოლი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10031 | ლეიტონი-სტოკპორტი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10032 | ნორთჰემპტონი-პიტერბრო | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10033 | ოლდემი-დონსი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10034 | სკანთორპი-კარლაილი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10100 | ვერდერი-კოტბუსი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10101 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10102 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10103 | დორტმუნდი-შალკე | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10104 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10105 | კიოლნი-ბაიერნი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10152 | ბარი-ბრეშა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10154 | აველინო-ჩიტადელა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10156 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10157 | პარმა-ანკონა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10158 | ტრევიზო-რიმინი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10159 | მანტოვა-ვიჩენცა | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10161 | ემპოლი-ალბინოლეფე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10249 | ტვენტე-ნაიმეგენი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10250 | დენ ჰააგი-ალკმაარი | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10251 | პსვ-სპარტა | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10252 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10106 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10107 | ბოხუმი-არმინია | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10109 | ჰანზა-მაინცი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10110 | ფიურტი-კობლენცი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10112 | ვეენი-ნიურნბერგი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10114 | ოსნაბრიუკი-ფრანკფურტი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10116 | აუგსბურგი-ფრაიბურგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10253 | გრონინგენი-უტრეხტი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10254 | აიაქსი-როდა | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10255 | გრააფსხაპი-ვიტესი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10256 | ბრედა-ტილბურგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10113 | მიუნხენი 1860-დუისბურგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10216 | ლანსი-მეცი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11028 | ჰარტლპული-ჩელტენემი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11108 | აინტრახტი-კარლსრუე | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11111 | ალემანია-ინგოლშტადი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11115 | ლაუტერნი-ზტ.პაული | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11117 | ობერჰაუზენი-ალენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11155 | პიაჩენცა-ლივორნო | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11160 | სასუოლო-გროსეტო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11211 | ბასტია-ამიენი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11212 | ბრესტი-აიაჩო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11213 | შატორუ-გენგამი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11214 | კლერმანი-ტრუა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11215 | დიჟონი-მონპელიე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11217 | ნიმი-ტუარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11218 | რეიმსი-ბულონი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11219 | სედანი-სტრასბური | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11220 | ვანი-ანჟე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11248 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11257 | ტელსტარი-ვალვაიკი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11258 | ემენი-ექსელსიორი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11259 | ჰელმონდი-კამბური | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11260 | იგლსი-ეინდჰოვენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11261 | აპელდორნი-ომნივორდი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11262 | ოსი-ზვოლე | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11263 | სიტარდი-ჰაარლემი. | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11264 | ვენლო-დენ ბოსხი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11265 | დორდრეხტი-ვეენდამი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11266 | როზენდალი-მაასტრიხტი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11023 | საუთენდი-ჰერეფორდი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11024 | სუინდონი-ლიდსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11025 | როჯერსი-უოლსოლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11026 | იოვილი-ბრაიტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11027 | ქრიუ-კოლჩესტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11029 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11030 | ლესტერი-მილუოლი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11031 | ლეიტონი-სტოკპორტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11032 | ნორთჰემპტონი-პიტერბრო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11033 | ოლდემი-დონსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11034 | სკანთორპი-კარლაილი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11100 | ვერდერი-კოტბუსი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11101 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11102 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11103 | დორტმუნდი-შალკე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11104 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11105 | კიოლნი-ბაიერნი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11152 | ბარი-ბრეშა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11154 | აველინო-ჩიტადელა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11156 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11157 | პარმა-ანკონა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11158 | ტრევიზო-რიმინი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11159 | მანტოვა-ვიჩენცა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11161 | ემპოლი-ალბინოლეფე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11249 | ტვენტე-ნაიმეგენი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11250 | დენ ჰააგი-ალკმაარი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11251 | პსვ-სპარტა | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11252 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11106 | ჰანოვერი-გლადბახი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11107 | ბოხუმი-არმინია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11109 | ჰანზა-მაინცი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11110 | ფიურტი-კობლენცი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11112 | ვეენი-ნიურნბერგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11114 | ოსნაბრიუკი-ფრანკფურტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11116 | აუგსბურგი-ფრაიბურგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11253 | გრონინგენი-უტრეხტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11254 | აიაქსი-როდა | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11255 | გრააფსხაპი-ვიტესი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11256 | ბრედა-ტილბურგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11113 | მიუნხენი 1860-დუისბურგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11216 | ლანსი-მეცი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | | | |

QUARTZITE

# ძველი კაპიტნის შემობრუნება

## ილია ზედგინიძე რაგბის მეორედ ეჩვევა



გაიდო კიკილაშვილის ფოტო

სულ რალაც ორი მატჩი აკლდა, რომ 50-ე სანაკრებო კეპი მოეხვეჭა და საქართველოს ნაკრებს ღვაწმოსილებში, ანუ 50 კეპიანებში გარეულიყო. ილია ზედგინიძეზე ვამბობთ, ჩვენი ბორჯღალოსნების კაპიტანზე, რომელმაც კარიერა შარშანდელ მსოფლიოს თასზე დაასრულა. ილომ ტრავმა ირლანდიასთან ხმაურიანი მატჩისას მიიღო და ორჯერ ნაოპერაციები მუხლი რომ გაუსიჯნეს, იქვე თქვა თამაშს თავს ვანებებო. რომ არა ტრავმა ილია ზედგინიძე ნამიბიასთანაც ითამაშებდა და მასპინძელ საფრანგეთთანაც და 50-ე სანაკრებო მატჩს ჩაატარებდა.

მაშინ ილია ზედგინიძე რაგბიდან კი წავიდა, მაგრამ საფრანგეთში დარჩა და პირად საქმეებს აგვარებდა. ახლა კი ბორჯღალოსნების ყოფილი კაპიტანი რაგბის უბრუნდება... ილია ზედგინიძე, ვისაც ნაკრებში 48 მატჩი აქვს ნათამაშები, აქედან 32-ჯერ გუნდის ყოჩი იყო და 14 ლელოს გატანაც მოასწრო, უკვე ვარჯიშობს და დიდი შანსია, რაგბის და ნაკრებს დაუბრუნდეს...

— უკვე ერთი თვეა, რაც ვარჯიში დავიწყე. ჯერჯერობით არის რეალური იმედი, რომ რაგბის დავუბრუნდე — *გვითხრა ილია ზედგინიძემ, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.*

— ექიმებმა დაგრთეს ვარჯიშის ნება?

— როგორც იტყვიან, მწვანე შუქი აამინთეს. შარშან, როდესაც რაგბის თამაშს თავი დავანებე, მაშინ მითხრეს, რომ თუ ვივარჯიშებდი, შეიძლებოდა, ინვალიდი დავრჩენილიყავი. საშინელ მდგომარეობაში მქონდა მუხლი. სპეციალური სახვევებით და რკინაში ჩასმული მუხლით დავდიოდი. სიარულიც კი მიჭირდა. მთელი ერთი წელი ექიმებთან სიარულში გავატარე, ტრადიციული და არატრადიციული მეთოდებით ვიმკურნალე და ამან შედეგი გამოიღო. ბოლოს რომ მივედი ტრავმატოლოგებთან და მუხლი ვაჩვენე, გაოცდნენ, არ გვეგონა, თუ ტრავმას საბოლოოდ მოირჩენდი და ვარჯიშსაც კი შეძლებდიო. ერთი სიტყვით, დატვირთვისთვის მზად ვარ, დანარჩენი კი მალე გამოჩნდება.

— სრული დატვირთვით ვარჯიშობ?

— ორი კვირაა, რაც სრული დატვირთვით დავიწყე ვარჯიში. ტრენაჟორები, კროსები, აზიდვები, ბურთთან ერთად ვარჯიში...

— ინდივიდუალურად ვარჯიშობ, თუ რომელიმე კლუბს შეუთანხმდი?

— ახლა „ექსან-პროვანსში" ვარ, სადაც ადრე ჩემი ლეგიონერობის პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. ამ კლუბის უფროსობასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ახლაც ყველანაირად გვერდში მიდგანან. „ექსან-პროვინსი" საფრანგეთის ჩემპიონატის რანგით მესამე დივიზიონში, ფედერალ-1-ში თამაშობს. ეს ლიგა ნახევრად პროფესიონალური, ნახევრად სამოყვარულოა. ასეა კლუბიც, თუმც ამ ეტაპზე ჩემთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი გუნდია. იმედია, ეტაპობრივად შევძლებ რაგბიში დაბრუნებას...

— კლუბთან კონტრაქტი გააფორმე?

— წინასწარი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, რადგან სრული დატვირთვით კი ვვარჯიშობ, მაგრამ რასაც ნამდვილი კონტაქტური რაგბი ჰქვია, ამას ჯერ ვერიდები. წესით, ოქტომბრის ბოლოს უნდა შევძლო თამაში, იქამდე კი კონტაქტურ ბრძოლას ნელ-ნელა შევაჩვევ სხეულს. ძლივს რაგბიში დაბრუნების რეალური შანსი გამიჩნდა და არ მინდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებით ყველაფერი წყალში ჩავყარო. თუ ღმერთმა ინება და ოქტომბრიდან თამაში დავიწყე, „ექსან-პროვინსში" გაისამდე დავრჩები, მერე კი ვნახოთ...

— არის შანსი, რომ თამაში ვერ შეძლო?

— არის, მაგრამ ძალიან მინიმალური... ჯანზე ვარ, მუხლიც გამიმაგრდა და საშიში არაფერია. უბრალოდ, სანამ თამაშს არ დავიწყებ, იქამდე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ტიმ ლეინს ესაუბრე?

— არა, რადგან ჯერ ადრეა მასთან რაიმე კონკრეტულზე საუბარი. როდესაც თამაშს დავიწყებ და იმედია, ფორმაშიც შევალ, ამას ლეინი უჩემოდაც გაიგებს და თუ საჭიროდ ჩათვლის, გამომიძახებს. მაგრამ ახლა ჩემს ნაკრებში დაბრუნებაზე საუბარი ცოტა ნაადრევია, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ისე, ძალიან მომენატრა რაგბი და ნაკრები.

— თანაც დიდი შანსია, შენთვის მესამე მსოფლიოს თასზე ითამაშო...

— ჯერ 30 წლის ვარ, თუ ყველაფერი კარგად გაგრძელდა და ნაკრებშიც დავბრუნდი, მესამე მსოფლიოს თასზეც ვითამაშებ. მსოფლიოში ბევრი არაა ისეთი მორაგბე, სამი მსოფლიოს თასი რომ ჰქონდეს ნათამაშები, მერე კი საბოლოოდ წავალ რაგბიდან.

**ბაჩო სვანიძე**



გაიდო კიკილაშვილის ფოტო



გაიდო კიკილაშვილის ფოტო

# ჭაბუკთა ევროპამ შვიდკაცა დაგვიპაუზა

**ამ უქმეებზე** შევარდენის სტადიონი საქართველოს შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს ტურნირი ჩვენს ქვეყანაში წლებია, აღარ ჩატარებულა და ამ ტრადიციის აღდგენა ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატმა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებიდან საკმაოდ ბევრი მოთამაშე მიემგზავრება და ამიტომ შიდა ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდა. საქართველოს რაგბის კავშირმა კი პაუზა შვიდკაცას ტურნირის ჩასატარებლად გამოიყენა.

ქართული შვიდკაცობა ორი დღის განმავლობაში გაიმართება. 13 სექტემბერს ჯგუფური ეტაპის მატჩები ჩათამაშდება, ხოლო 14 სექტემბერს ჩემპიონ-პრიზორების ვინაობს პლეი ოფები გამოარკვევს.

**ზურაბ მიგრიაული**

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ყოჩები | ლელო |
| უნივერსიტეტი | ლოკომოტივი |
| არმაზი | დინამო |
| აკადემია | აია |

13 სექტემბერი, შაბათი. ჯგუფური ეტაპი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| უნივერსიტეტი — არმაზი | ლოკომოტივი — დინამო |
| ყოჩები — აკადემია | ლელო — აია |
| არმაზი — აკადემია | დინამო — აია |
| ყოჩები — უნივერსიტეტი | ლელო — ლოკომოტივი |
| უნივერსიტეტი — აკადემია | ლოკომოტივი — აია |
| ყოჩები — არმაზი | ლელო — დინამო |

14 სექტემბერი კვირა
პლეი ოფი

# საქართველომ ჭაბუკები დაარჩია

**პოლონეთში,** ქალაქ სოპოტში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. ტურნირი 20-28 სექტემბერს გაიმართება. ახალგაზრდა ბორჯღალოსნები კი პოლონეთში 13 სექტემბერს მიემგზავრებიან.



დავით ჩავლეიშვილი

ჩვენმა ნაკრებმა წინასატურნირო შეკრება თბილისში გაიარა გაფართოებული შემადგენლობით. შეკრების დასრულების შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა ის ოცდაექვსი მორაგბე გამოარჩია, რომელნიც საქართველოს სახელსა და ღირსებას დაიცავენ ევროპის ჩემპიონატზე.

**ზურაბ მიგრიაული**

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები**

**შერკინება:** ვიქტორ კოლელიშვილი, ვასილ კვერნაძე, გიორგი გაბელია (ლელო), ლადო გუნიავა, ვასილ კაკოვინი (უნივერსიტეტი), ირაკლი რევიშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, თორნიკე ლომიძე (ქუთაისი), ერეკლე მეტრეველი, ბექა ნიკოლაიშვილი, დავით ბარბაქაძე (ყოჩები), მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია), გიორგი ცირეკიძე (არმაზი)

**შეტევა ხაზი:** ვახტანგ კავთიძე, რატი ხუციშვილი, ლევან გოგია (უნივერსიტეტი), ბექა წიკლაური, გიორგი ნოზაძე (ლოკომოტივი), გოდერძი ჯოგლიძე, გიორგი ლომინაძე, გიგა კორკელია (ლელო), სანდრო ინაშვილი, დავით გრძელიშვილი, შალვა მახარაშვილი (ყოჩები), ზურაბ გოგლიჩიძე (ქუთაისი), გიგი გაბუნია (არმაზი)




სტუმრად უნივერსიტეტში: მსოფლიოს ჩემპიონი ქართველი ათლეტები მაია ლომინეიშვილთან და თსუ-ს რექტორის თანაშემწე მზექალა აჭაიძესთან

# ათლეტებმა რექტორს გამოცდა ჩააბარეს

## პეტრე მამრაძე პრეზიდენტობის კანდიდატია

**გუშინ** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრა შედგა, რომელზეც საქართველოს ათლეტიზმის ნაკრებმა უნივერსიტეტის რექტორ გიორგი ხუბუას თასი მიართვა.

ეს თასი საქართველოს ნაკრებმა ამერიკაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მოიპოვა. იქ ჩვენებმა გუნდურ გათამაშებაში გაიმარჯვეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

გუნდურ ასპარეზობაში 110 კგ-ში კახაბერ ერგემლიძე გამოდიოდა, 125 კგ-ში ავთანდილ მამალაძე და მანუჩარ ჭინჭარაული, ზემძიმე წონაში კი — ზურაბ ჭავჭანიძე.

კახაბერ ერგემლიძემ წოლჭიმისა და რეპის ასპარეზობა მოიგო. ავთანდილ მამალაძემ იმარჯვა სამ სახეობაში — წოლჭიმი, რეპი და ბიცეპსებით წონის დაძლევაში, ჭინჭარაულმა მეორე ადგილი დაიკავა წოლჭიმსა და რეპში, ჭავჭანიძემ კი, რომელიც ამავდროულად ნაკრების მთავარი მწვრთნელია, მოიგო წოლჭიმსა და რეპის ასპარეზობა. სწორედ ეს შედეგები გახდა საქართველოს ნაკრების მიერ მსოფლიოს თასის მოპოვების მთავარი მიზეზი.

*რექტორთან შეხვედრას შემდეგ საქართველოს ათლეტიზმის ნაკრების მთავარ მწვრთნელს,* ***ზურაბ ჭავჭანიძეს*** *გავესაუბრეთ...*

— დღეს უნივერსიტეტში მოვიტანეთ ის მსოფლიოს თასი, რომელიც აგვისტოში აშშ-ში მოვიპოვეთ. უკვე წლებია, რაც თქვენი ნაკრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ძალოსნობის დარბაზში ვარჯიშობს. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეთ, თასი აქ მოგვეტანა.

— რამდენად ელოდით ასეთ შედეგს?

— ჩვენ ყოველთვის გამარჯვებისთვის მივდივართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებთ უძლიერესი შემადგენლობის შეკრებას. ამჯერადაც ორ უძლიერეს ათლეტს ზაურ ჯავახიშვილს და შოთა ბეჟაშვილს სავიზო პრობლემები შეექმნათ და აშშ-ში ვერ წამოვიდნენ.

— უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვთ?

— ამერიკაში 2009 წლის მარტში ძალიან დიდი სპორტული ფორუმი უნდა გაიმართოს. მისურას შტატში ჩატარდება „არნოლდ ფესტი“, რომელსაც არნოლდ შვარცენეგერი ატარებს. ეს იქნება ძალიან მასშტაბური ღონისძიება, სპორტის 29 სახეობის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. იქ მოხვედრა ურთულესი კონკურსების გავლით იყო შესაძლებელი და, საბედნიეროდ, ერთმა ქართველმა ზურაბ ძამუკაშვილმა მიიღო მონაწილეობის უფლება. ის ძალისმიერ სამჭიდში ცდის ძალებს 84,5 კილოგრამ წონით კატეგორიაში და ყველანაირი შანსი აქვს, გაიმარჯვოს. სხვათა შორის შვარცენეგერმა ამ შეჯიბრებისთვის ორიგინალური დევიზი მოიფიქრა — „მთავარია გამარჯვება და არა მონაწილეობა“.

— გავიგეთ, უახლოეს მომავალში ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაქვთ...

— დიახ, ამ შაბათს ჩვენი არჩევნები უნივერსიტეტში გაიმართება. პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი გვყავს, პარლამენტარი პეტრე მამრაძე, რომელიც უკვე წლებია, ჩვენთან ერთად ვარჯიშობს.

*მთავარი მწვრთნელის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელს, მოჭადრაკე* ***მაია ლომინეიშვილსაც*** *გავესაუბრეთ:* „დღეს ჩვენმა ათლეტებმა ამერიკაში მოპოვებული თასი მოგვიტანეს. ეს ხალხი ყოველთვის ძალიან დიდი წარმატებით გამოდის საერთაშორისო ტურნირებზე. უახლოეს პერიოდში ჩვენს კომიტეტს დაგეგმილი აქვს, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოაწყოს სამუზეუმო კუთხე, რომელშიც განთავსდება ის სიგელები და ჯილდოები, რომლებიც სპორტსმენებმა ჩვენი სახელით სხვადასხვა დროს მოიპოვეს. გარწმუნებთ, უკვე ძალიან სერიოზული კოლექციაა, მოგროვილი“.

**გიორგი არაბული**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.



# იქაც რუსი, აქაც რუსი...

## ომმა ბალავაძე და კარტოზია საგაისოდ გადადო

**ჭიდაობის** ქართველი გულშემატკივარი წლეულსბილისური საერთაშორისო ტურნირების გარეშე დაგერჩა: ვახტანგ ბალავაძის და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირები წლეულს აღარ გაიმართება.

ჭიდაობის ფედერაციის ოფიციალური კალენდრის მიხედვით, ტურნირები 11-12 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, მაგრამ ჩვენმა ფედერაციამ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში FILA წერილი გაგზავნა და ბოდიში მოიხადა, ბოლო დროს საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, წელს ტურნირს ვერ ჩავატარებთ და ნება მოგვეცით, გაისად ვუმასპინძლოთ შეჯიბრებასო. FILA ქართულ მხარეს მადლობა მოუხადეს დროული რეაგირებისთვის და 2009 წლისთვის წინასწარი თანხმობაც მისცეს.

ამასთან დაკავშირებით, კომენტარის გაკეთება ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს კახა გეწაძეს ვთხოვეთ:

— უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ეს ტურნირები გადაიდო, ის არის, რომ ბოლო დროს საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თბილისში ნაკლები რაოდენობის გუნდები ჩამოვიდნენ და რეალურად შეჯიბრებას კავკასიის პირველობის სახე მიეცემოდა. გაისად კი ვაპირებთ, რომ უფრო ორგანიზებულად და უფრო დიდი მასშტაბებით ჩავატაროთ კარტოზიას და ბალავაძის სახელობის ტურნირები.

**ზურაბ მიგრიაული**


გაშლილი ხალიჩა ასაშლელია



# ოქსანა კალაშნიკოვა ყველანაირად ისვრის: წყვილად და ერთეულებში

**18 წლის** ქართველი მეჩოგნე ოქსანა კალაშნიკოვა ავსტრიის ქალაქ ინსბურგში საერთაშორისო ტურნირზე თამაშობს და ჯერჯერობით საკმაოდ კარგადაც.

ერთეულთა შეჯიბრების პირველ წრეში ოქსანა, ვინაც ტურნირზე მეშვიდე ნომრადაა განთესილი, მასპინძელ ირის ხანას დაუპირისპირდა და გვარიანად დაძაბულ მატჩში 4:6 6:0 6:2 მოუგო. ქართველის მომავალი მეტოქე მერვედფინალში გერმანელი ნიკოლ გუერი იქნება.

კალაშნიკოვა წყვილებშიც ჩაუქობს და მხარს უკრაინელი ბურიაჩოკი უმაგრებს. ისინი პირველ ნომრად არიან მიჩნეულნი და აგერ გერმანელების ბრანესასა და ვაგნერის დუეტს 4:6 6:1 10:8 მოუგეს.

ქართველ-უკრაინელის მეტოქეები ნახევარფინალში შვეიცარიელები, ჰეჩენბერგერი და სადიკოვიჩი არიან. ინსბურკის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

**ნიკა ძოპაძე**


ოქსანა კალაშნიკოვა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# მეასე ასი

*26 წლის ფინელ მეფორმულე ჰეიკი კოვალაინენისთვის გასულ კვირას ბელგიის გრან პრიზე გამოსვლა მცირედ საიუბილეო, 30-ე იყო. შარშანდელ დებიუტანტს, ცხადია, წინ გრძელი საკარიერო დისტანცია აქვს და ალბათ არაერთ ხმაურიან წარმატებასაც მიაღწევს, თუმცა ერთი თვის წინ უკვე ჩაეწერა „სამეფო რბოლების“ სახელიან წარმომადგენელთა სიაში — ფორმულა 1-ის ისტორიაში მეასე პილოტი გახდა, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპი მოუგია*



### მაკლარენიც იუბილარია

ბელგიური ეტაპი უფრო მნიშვნელოვანი კოვალაინენის გუნდისთვის გახლდათ. ზუსტად 40 წლის წინ ახალზელანდიელმა მრბოლ-ინჟინერმა ბრიუს მაკლარენმა საკუთარი კონსტრუქციის მანქანით თავადვე მოიგო პირველი დიდი პრიზი „მაკლარენ-კოსუორტის“ 24-ე რბოლაში. და ეს სწორედ ბელგიაში, პირვანდელი კონფიგურაციის 14-კილომეტრიან „მკვლელ“ სპა-ფრანკორშამზე მოხდა.

ბრიუსი მეორე პილოტია, ვინც „სამეფო“ ეტაპზე თავისი სახელობის ბოლიდით გაიმარჯვა. იგივე 1966 წელს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ავსტრალიელმა ჯეკ ბრებემმა შეძლო საფრანგეთის გრან პრიზე რეიმსში.

„მაკლარენის“ ყულაბაში სადღეისოდ 161 მოგებული დიდი პრიზია, რაც მეორე შედეგიანობაა „ფერარის“ 208 გამარჯვების შემდეგ.

კოვალაინენს დავუბრუნდეთ. იგი 1981 წლის 19 ოქტომბერს შუაგულ ფინეთში, პატარა ტბისპირა სოფელ სუომუსალმიში დაიბადა. მისი ავტოგზა ტრადიციულად წარიმართა — ათი წლისა კარტინგით დაქროდა, მერე იყო ბრიტანული „ფორმულა რენო“ და წლის ახალბედას ტიტული. მაგრამ უფრო მაღალ, ფორმულა 3-ში გადასვლისთვის ფული არ ჰქონდა. დახმარება სწორედ „რენოდან“ მოვიდა, ფრანგულმა სუპერკონცერნმა პერსპექტიული მრბოლი თავის ახალგაზრდულ საქველმოქმედო პროგრამაში ჩართო. პროტეჟემაც ავანსი სრულად გაამართლა და ფორმულა 3-ის მესამე პრიზიორობას 2004 წელს „ნისანის“ მსოფლიო სერიის ჩემპიონობა მიაყოლა. ჰეიკი მომდევნო სეზონში უმცროსი ფორმულის, „გრან პრი 2“-ის ჩემპიონატს თითქმის ბოლომდე ლიდერობდა და მას მხოლოდ დასკვნით ეტაპზე ჩამოართვა პირველობა გერმანელმა ნიკო როსბერგმა.

სწორედ იმ პერიოდში გახდა ავტოსამყაროსთვის ფართოდ ცნობილი ფინელის სახელი. პარიზში, „სენ დენის“ სტადიონზე მოწყობილ პარალელურ ტრასაზე ტრადიციულ „ჩემპიონთა რბოლის“ ნახევარფინალში „კოვიმ“ რალის ჩემპიონ სებასტიენ ლოებს სძლია, გადამწყვეტ სამცდიან დუელში კი თვით მიხაელ შუმახერი დაამარცხა.

კოვალაინენი მეათე ფინელი მეფორმულეა. 2006 წელი მისთვის სტაჟირების სეზონი იყო, რენოელთა მეტესტედ მუშაობდა და როცა ორგზის გვირგვინოსანმა ფერნანდო ალონსომ გუნდი დატოვა, ფრანგული საჯინიბოს იტალიელმა ბოსმა ფლავიო ბრიატორემ უყოყმანოდ ანდო ჩემპიონის ბოლიდი.

### მძღოლის მარათონი

ჰეიკის დებიუტი შარშან, 18 მარტს ავსტრალიის გრან პრიზე შედგა. ფინიშამდე კი მივიდა, მაგრამ მხოლოდ მეათე ადგილზე. ჩემპიონატის პირველ ნახევარში 12 ქულას მოუყარა თავი, თანარენოელ ჯანკარლო ფიზიკელაზე ოთხით ნაკლებს და უკმაყოფილო ბრიატორემაც სახალხოდ გაკიცხა ფინელი. კრიტიკამ იმოქმედა თუ მანქანა გამიკეთდა, ფაქტია, რომ შემდეგ შედეგები გაუმჯობესდა, იაპონიაში ფინიშთან მეორეც კი მივიდა, რაც „რენოსთვის“ ერთადერთი პოდიუმი აღმოჩნდა და 30 ქულით სეზონი საპატიო მეშვიდე პოზიციაზე ჩაამთავრა. ფიზიკო ცხრა ქულით ჩამორჩა.

წლეულს კოვალაინენი უფრო მძლავრი, საჩემპიონო პოტენციალის „მაკლარენით“ დაჯირითობს და წარმატებასაც დიდხანს არ დაუხანებია. უკვე 43 ქულა დაუგროვდა და რაც უმთავრესია, ახალ საჯინიბოში მე-11 რბოლაში სანუკვარი პირველი გამარჯვებაც იზეიმა. უნგრეთში, „ჰუნგარორინგის“ ტრეკზე მან მთელი ბრძოლა უშეცდომოდ წარმართა და დამსახურებულად, თუმცა მაინც მოულოდნელად გაიმარჯვა მას შემდეგ, რაც ფინიშამდე სამი წრით ადრე ლიდერ ფელიპე მასას „ფერარის“ ძრავამ სული განუტევა.

ალსანიშნავია, რომ ჰეიკი სტარტზე ამაღლებული განწყობით გავიდა, რადგან სწორედ უნგრული ეტაპის წინ „მაკლარენ-მერსედესის“ ხელმძღვანელობამ ნდობა გამოუცხადა და კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელა. ფინელმაც მადლობა ათიანში „მორტყმით“ გადაიხადა.

კოვი მრავალმხრივი სპორტსმენია, მარტო საჭის ტრიალით არ იფარგლება და მწვრთნელის მეთვალყურეობით სპეციალური პროგრამით ვარჯიშობს. როგორც ამბობს, სირბილი, ველოსიპედი და ნიჩბოსნობა ხელს უწყობს გულის „ფორმაში ყოფნას“. მფრინავის ლიცენზიაც აქვს და ხანდახან სპორტული თვითმფრინავის შტურვალთანაც ჯდება. შარშან დიდი ხნის ოცნება აისრულა და ნიუ იორკის მარათონულ გარბენშიც მიიღო მონაწილეობა. 42-კილომეტრიანი დისტანცია ჰეიკიმ სამ საათსა და 36 წუთში დაძლია და ათი ათასზე მეტ მონაწილეს შორის 5370-ე ადგილზე გავიდა.

### პირველიდან მეასემდე

მაშ ასე, ჰეიკი კოვალაინენი მეასე „სამეფო“ ასია, პირველი კი, ბუნებრივია, იყო 1950 წლის 13 მაისს სადებიუტო მსოფლიო ჩემპიონატის ბრიტანული გრან პრის მომგები იტალიელი ჯუზეპე ფარინა.

რბოლის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული ესპანელი ფერნანდო ალონსოა. 2003 წლის აგვისტოში „რენოთი“ „ჰუნგარორინგზე“ ტრიუმფისას იგი 22 წლის და 26 დღის იყო. მანამდე მთელი 44 წელი რეკორდს ბრიუს მაკლარენი ფლობდა — 1959 წელს აშშ-ში „კუპერით“ გამარჯვება ნანდოზე 80 დღით „ხნიერმა“ მოიპოვა.

სულ რბოლები 20 ქვეყნის პილოტებს მოუგიათ. სუპერასეულში დიდ ბრიტანეთს ყველაზე მეტი — 19 წარმომადგენელი ჰყავს, რომელთაც ჯამში 199 დიდი პრიზი დაისაკუთრეს. ხარისხობრივად გერმანიაა წინ ხუთი მძღოლის 103 გამარჯვებით.

ბოლოს იმაზე, რომ კოვალაინენი „სამეფო“ ეტაპის მომგები მეოთხე ფინელია. კეკე როსბერგმა, მიკა ჰაკინენმა და კიმი რაიკონენმა მერე ჩემპიონის გვირგვინიც მოიპოვეს, ასე რომ, ჰეიკის ტრადიციის დარღვევის უფლება არ აქვს.

**გია ახალაძე**

**ყველაზე მეტი მოგება**

| | მრბოლი | ქვეყანა | მოგება | რბოლა | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 91 | 248 | 36,7 |
| 2 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 51 | 199 | 26,5 |
| 3 | აირტონ სენა | ბრაზილია | 41 | 161 | 25,5 |
| 4 | ნაიჯელ მენსელი | დ. ბრიტანეთი | 31 | 187 | 16,6 |
| 5 | ჯეკი სტიუარტი | დ. ბრიტანეთი | 27 | 99 | 27,3 |
| 6 | ჯიმ კლარკი | დ. ბრიტანეთი | 25 | 72 | 34,7 |
| 7 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 25 | 171 | 14,7 |
| 8 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 24 | 51 | 47,0 |
| 9 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 23 | 204 | 11,3 |
| 10 | დეიმონ ჰილი | დ. ბრიტანეთი | 22 | 115 | 19,1 |
| 11 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 20 | 162 | 12,3 |
| 12 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | 19 | 116 | 16,4 |
| 13 | კიმი რაიკონენი | ფინეთი | 17 | 133 | 12,8 |
| 14 | სტირლინგ მოსი | დ. ბრიტანეთი | 16 | 66 | 24,2 |
| 15 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 14 | 126 | 11,1 |
| 16 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 14 | 144 | 9,7 |
| 17 | გრემ ჰილი | დ. ბრიტანეთი | 14 | 176 | 8,0 |
| 18 | ალბერტო ასკარი | იტალია | 13 | 32 | 40,6 |
| 19 | დევიდ კულტჰარდი | დ. ბრიტანეთი | 13 | 241 | 5,4 |
| 20 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 12 | 116 | 10,4 |
| 21 | მარიო ანდრეტი | აშშ | 12 | 128 | 9,4 |
| 22 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | 12 | 146 | 8,2 |
| 23 | ჟაკ ვილნევი | კანადა | 11 | 164 | 6,7 |
| 24 | ჯეიმს ჰანტი | დ. ბრიტანეთი | 10 | 92 | 10,9 |
| 25 | ფელიპე მასა | ბრაზილია | 10 | 101 | 10,0 |





# თმები ყალყზე

## არმსტრონგმა ველოსპორტში შიში დათესა

**ტურ დე ფრანსის** შვიდგზის ჩემპიონ ლენს არმსტრონგს, როგორც ჩანს, მოსწყინდა კაბინეტებში ჯდომა და ძვირადღირებული კოსტუმებით საზეიმო ბანკეტებსა თუ საქველმოქმედო მიღებებზე ტრიალი. დიდ ჩემპიონს დიდი გზა მოენატრა და რკინის ორთვალაზე ამხედრება გადაწყვიტა.

არმსტრონგი ველოდან 2005 წელს დაქვეითდა, მას მერე, რაც ზედიზედ მეშვიდეთ მოიგო ტური. მაშინ 34 წლის ხდებოდა და ყველამ დროულად ჩათვალა მისი წასვლა, ახლა კი ბევრმა სკეპტიკურად შეხედა ნოსტალგიამოძალებული არმსტრონგის ერთი შეხედვით ახირებულ მოწადინებას — 2009 წლის ტურ დე ფრანსში მონაწილეობას, თანაც უმაღლეს დონეზე, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის. ის ამ დროს 38 წლის პირზე იქნება და რამდენად შეძლებს ჯეელებთან გამძლეობაში გაჯიბრებას?

მაგრამ 1999 წლიდან არმსტრონგის გუნდის მენეჯერი იოჰან ბრინელი ლენსის ასაკზე ჩაფიქრებულთ ამშვიდებს — არ დაგავიწყდეთ, პეკინის ოლიმპიადა ესპანელმა ხუან ლანერასმა 39 წლისამ მოიგო და ლენსისთანა შრომისმოყვარეღა ნიჭიერი ადამიანისვის უმაღლეს დონეზე შეჯიბრი პრობლემა არ იქნებაო.

სავარაუდოდ, არმსტრონგი „ასტანას“ მაისურს მოირგებს, გუნდისას, რომელსაც ადრე მთავარ სპონსორად „იუეს პოსტალი“ ჰყავდა, შემდეგ კი „დისქავერი ჩენელი“ და მათი სახელები ერქვა. ცოტა გასაკვირია, მაგრამ არმსტრონგისთვის მთავარ პრობლემად შეიძლება, იქცეს არა სპორტული ფორმა, არამედ ასტანას ამჟამინდელ ლიდერ ალბერტო კონტადოსთან (2007 ტურის ჩემპიონი) პირადი კონფლიქტი. ისინი ერთმანეთს ვერც მანამდე იტანდნენ და კონტადორს ახლა ნამდვილად არ ეამება ლიდერის სტატუსის ძველი „მტრისთვის“ დათმობა. თუმცაღა ეს პრობლემაც მოგვარებადი ჩანს და კონტადორმა არმსტრონგის დაბრუნების ამბავი რომ გაიგო, ცოტა არ იყოს, წაუმღინქველა — ასეთი კვალიფიკაციის მრბოლი გუნდს ყოველთვის გამოადგება და მე მას გაღილი მკლავები დავხვდებიო.

რაც შეეხებათ სხვა მრბოლებს, ალბათ ყოველი მათგანის განწყობას გამოხატავს წლევანდელი ტურის ჩემპიონ კარლოს სასტრეს ნათქვამი — „რომ გავიგე, ლენს არმსტრონგი ბრუნდებაო, შიშისგან თმები ყალყზე დამიდგა.“

**ირაკლი ფირაშვილი**

la vuelta'08

**63-ე ლა ვუელტა ესპანა**

**მე-11 ეტაპი. კალაჰორა — ბურგოსი. 178 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 4 სთ 19 წთ 28 წმ |
| 2. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქუქი სტეპი“) | |
| 3. ხუან ხოსე აედო (არგენტინა, „CSC“) | |
| 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“) | |
| 5. ლოიდ მონდორი (საფრანგეთი, AG2R) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 41 სთ 5 წთ 45 წმ |
| 2. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, ასტანა) | +11 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +32 წმ |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | +1 წთ 00 წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 38 წმ |



# კობის თითი არ ასვენებს

**კობი ბრაიანტი** ნამდვილად არ ნანობს, ნაკრებში თამაშზე რომ დათანხმდა. პეკინში ოლიმპიური მედალი მოიგო და ჩინეთიდან ისეთი კმაყოფილი გამობრუნდა, რომ ნაკრების მენეჯერებს ეუბნებოდა, თუ დაგჭირდებით, 2012 წელს ლონდონშიც სიამოვნებით ვითამაშებო.



მაგრამ კობის მთლად უფასოდ როდი დაუჯდა ოლიმპიური სიამოვნება. კარგა ხანია, მას თითი სტკივა და ამ ზაფხულს ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ის დრო ვერ გამონახა, რომელიც მოშუშებას სჭირდება, ახლა კი ძალიან გვიანია, სექტემბრის ბოლოს ნბას მორიგი სეზონის წინა საწვრთნელი ბანაკები იხსნება და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერს გაურკვეველი ვადით მოუწევს ქირურგიული ჩარევის გადადება, თანაც ტრავმის გართულების საშიშროებაც ემუქრება.

*ძალიან მძიმე სეზონს როჯერ ფედერერმა მაინც წარმატებული ელფერი შეძინა და აშშ-ს ღია პირველობის მოგებით კრიტიკოსები კარგა ხნით გააჩუმა. ქვემორე ინტერვიუში დიადი ალპელი ჩვეული პირდაპირობით საუბრობს წლეულს გადატანილ პრობლემებზე, მაგრამ აცხადებს, რომ ყველაფერი არც ისე საშინლად იყო, როგორც ამას პრესა ხატავდა...*

# გულში ჩახუტებული
## ფედერერი ნიუ იორკმა იხსნა



— ამერიკაში ჩამოსვლისთანავე ბევრისთვის მოულოდნელად საკმაოდ თვითდაჯერებული იყავით...

— არა, უბრალოდ ძალიან კმაყოფილი ვიყავი ოლიმპიადაზე ოქროს მოგებით. იქ წყვილებში რომ არ მეთამაშა, მაშინ ძნელი იქნებოდა, რადგანაც ეს წელი მართლაც მძიმე ტვირთად იქცეოდა. მაგრამ წყვილებში ოქროს მოგებამ ბევრი შეცვალა, დამავიწყა ამ სეზონის წარუმატებლობანი და საშუალება მომცა კარგ ხასიათზე ჩამოვსულიყავი და ამ ტურნირით დავმტკბარიყავი. რაც შეეხება თვითდაჯერებას — რატომაც არა, საკუთარი თავის რწმენა ყოველთვის მექნება, მით უმეტეს აქ, სადაც ზედიზედ ოთხჯერ მემარჯვა. ასე რომ, საკუთარ ძალებში ეჭვი არასოდეს მეპარება ხოლმე.

— წლევანდელი ფინალი შარშანდელს შედარეთ...

— შარშან ძალიან მძიმე ფინალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სამ სეტში მოვახერხე მოგება. წლეულს კი გადამწყვეტი ის გამოდგა, რომ სწორი ტაქტიკა ავირჩიე, რაც საკმაოდ ძნელი იყო, რადგანაც თავად ენდი მიურეიც მშვენიერი სტრატეგია. ვიცოდი რომ მისთვის თავიდანვე უნდა შემეტია და მაქსიმალური ზეწოლის ქვეშ მომექცია. თანაც დღეს ძალიან კარგად ვითამაშე ისევე როგორც შარშან, ახლაც ვგრძნობდი, რომ საუკეთესო ჩოგბურთს ვაჩვენებდი. საერთოდ წლეულს აქ ისე გამოვიდა, რომ რაც უფრო ძლიერ მეტოქეს ვხვდებოდი, მით უფრო ვუმატებდი. ანდრეევთან მატჩი გადამწყვეტი იყო, ის მოვიგე და მერე ძალიან კარგად ვითამაშე. ვგრძნობ, რომ უკეთესადაც შემიძლია ჩოგნაობა, მაგრამ ასეც მოვიგე ტიტული და არ ვწუწუნებ.

— როგორ შეადარებდით აქ და უიმბლდონზე მოგებულ ხუთ-ხუთ ტიტულს?

— ამაყი ვარ, ამ შედარების საშუალება რომ მაქვს. ასეთი შესაძლებლობა ხომ ბევრს, უფრო სწორად კი არავის აქვს. აქ გამარჯვება ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ძალიან მძიმე ზაფხულის შემდეგ — ჯერ „როლან გაროსის“ ფინალში მარცხი, რაც უბრალოდ თავის მოჭრა უფრო იყო. თუმც ამას ადვილად გავუმკლავდი და ბალახზე კარგად ვითამაშე, მაგრამ უიმბლდონის ფინალი ისევ წავაგე. მართალია, ამაყი ვარ ასეთ ეპიკურ შეხვედრაში რომ მივიღე მონაწილეობა, მაგრამ წაგებით მაინც იმედგაცრუებული ვიყავი. ამას მასტერსებზე ცუდი თამაში და რეიტინგში პირველი საფეხურის დაკარგვა მოჰყვა, მაგრამ მაინც ვცდილობდი პოზიტიურ განწყობაზე დავრჩენილიყავი. ვიცოდი, რომ წლეულს ერთ სლემტიტულს აუცილებლად მოვიგებდი და სწორედ ამიტომ ეს გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

— ასეთი ემოციური არასოდეს ყოფილხართ. მართლაც ძალიან გინდოდათ აქ მოგება, არა?

— უკვე აღვნიშნე, რომ ოლიმპიადიდან ძალიან კარგ განწყობაზე ჩამოვედი. იქ დიდი ამბით აღნიშნეთ ოქრო და ხალისიანი აურა გამომყვა. თან რამდენიმე ძლიერ მეტოქეს მოვუგე საკმაოდ მძიმე კლიმატურ პირობებში — ყველაფერმა ამან ემოციების გამოვლენა ჩვეულზე მეტად მაიძულა. ფინალში უფრო დავმშვიდდი, ისე ვთამაშობდი, კვლავ დაუმარცხებლად მეჩვენებოდა საკუთარი თავი.

— მომავალი წლისგან რას ელით?

— ასე შორს ჯერ არ ვიყურები, ჯერ ეს სეზონი მინდა დავასრულო მაჟორულ ნოტაზე და თანაც უტრავმებოდ. დევისის თასზე ვაპირებ თამაშს, შემდეგ მშობლიურ ბაზელში, სადაც ერთ დროს ბურთის მიმტანი ვიყავი. გარდა ამისა, წინ მელის მასტერსის თასიც, შანხაიში, სადაც ტიტულის დაცვას ვაპირებ. ასე რომ, წლეულს კიდევ ბევრი რამ მელოდება წინ და მომავალ სეზონზე ფიქრს ჯერ აზრი არა აქვს.

— წლეულს გულშემატკივრებმა გამოჩენისთანავე ფანტასტიური დახვედრა მოგიწყვეს და შემდეგაც მხურვალედ გიჭერდნენ მხარს...

— კორტზე პირველად გასულს ისეთი დახვედრა მოიწყვეს, რომ არასოდეს დამავიწყდება. ნამდვილად ღირდა აპრილში აქ ჩამოსვლა და „მედისონ სკვერ გარდენში“ პიტ სამპრასთან საგამოფენო შეხვედრის გამართვა. მაშინ ალბათ ბევრის გული მოვიგე. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს გულშემატკივრების ასეთი გვერდზე დგომა. არ ვარ ისეთი ყაიდის ადამიანი, რომელიც შეგნებულად მაყურებლის სიმპატიაზე თამაშობდეს, მაგრამ თუ ეს ბუნებრივად ხდება, შეუძლებელია სპორტსმენისთვის ამაზე დიდი კომპლიმენტი არსებობდეს. და ვფიქრობ მე ამას მივაღწიე, თან არა მარტო აქ, არამედ მთელ მსოფლიოში.

— როგორ აღნიშნეთ ეს წარმატება?

— ჩვეულად ოჯახისა და მეგობრების წრეში. თითო ჭიქა შამპანიური დავლიეთ, მომილოცეს და ცოტა ვიმხიარულეთ. ადრე ჩვევა მქონდა ხოლმე, რომ ჯერ დოპინგ-კონროლზე მივდიოდი, შემდეგ პრეს-კონფერენციაზე და გასახდელში დაბრუნებისას ბევრი აღარ მხვდებოდა.

— წლის დასაწყისში მონონუკლიოზი გქონდათ და თქვენი ცუდი თამაშიც ალბათ ამით იყო გამოწვეული, თვეები დაგჭირდათ ჩვეული ფორმის აღსადგენად?

— ნაწილობრივ. ფიზიკურად კარგად ვერ ვგრძნობდი თავს, რის გამოც კორტზე ჩვეულად ვერ ვმოძრაობდი. ამის გამო დაცვით ჩოგბურთის თამაში ძალიან მიჭირდა და იძულებული ვიყავი აქცენტი შეტევაზე გამეკეთებინა, რის გამოც აურაცხელ შეცდომებს ვუშვებდი. თუმც ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა.

— თქვენახსენეთ, რომ ბევრი უაზრო მატჩი წააგეთ, განსაკუთრებით მასტერსებზე. ხომ არ გრძნობდით, რომ თქვენმა პიკმა გაიარა და თამაშის ხარისხის კლება კანონზომიერი იყო?

— არა, ამაზე წუთიაც არ მიფიქრია, მაგრამ კარგად ვიცოდი სხვები რას ლაპარაკობენ ჩემზე. უბრალოდ იმედგაცრუებილი ვიყავი, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ეს თავის ტკივილად მექცა, რადგანაც სხვადასხვა გიჟი მირეკავდა და თავის სამსახურს მთავაზობდა — ზოგმა ფსიქოლოგიური პრობლემები გაქვსო, ზოგმა კი ფიზიკურად მოიკოჭლებო და ამის გამოსასწორებლად დაგეხმარებიო. შეიძლება თქვენთვის ეს სასაცილოც არის, მაგრამ დამერწმუნეთ თავის ტკივილია და მეტი არაფერი.

— უფრო დაწვრილებით ვერ გვეტყვით რა ტაქტიკა გამოიყენეთ მიურეის წაინააღმდეგ?

— ნამდვილად არ ვაპირებ ამაზე საუბარს. ამ ბიჭს უახლოეს წლებში ალბათ კიდევ არაერთხელ შევხვდები და როგორმე ხომ უნდა მოვუგო.

— გამოცდილებამ ალბათ თავისი როლი ითამაშა. მისთვის ხომ ეს პირველი სლემფინალი იყო...

— ალბათ, რადგანაც მე კარგად ვიცი რისი გაკეთებაა საჭირო და რამდენად ძნელია არსებული ზეწოლის გაძლება. თუმც ენდიმაც გაუგო ამას გემო და დარწმუნებული ვარ სწორი დასკვნებიც გამოიტანა.

— თქვენ ყოველთვის ძალიან თბილად საუბრობდით ხოლმე ახალგაზრდა მეტოქეებზე..

— ასეთი ადამიანი ვარ, ყველაფერზე პირდაპირ მიყვარს საუბარი. თუ ჩემს მეტოქეს აქვს ხოლმე პოტენციალი, პირდაპირ გეუბნებით. თუ ჩვეული დონის ჩოგბურთელია, არც ამას ვმალავ. ყოველთვის ვიცოდი, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა მთელი წყება მოდიოდა, რომლებიც თავის სიტყვას მალე იტყოდნენ, უბრალოდ მათ ეს იმაზე ერთი წლით გვიან გააკეთეს, ვიდრე მე მეგონა. მხოლოდ რაფამ (ნადალი) და ნოვაკმა (ჯოკოვიჩი) შეძლეს სხვებზე ადრე საკუთარი სიძლიერის ჩვენება.

რაფაზე თავიდანვე ვთქვი მისგან დაუჯერებლად ძლიერი ჩოგბურთელი დადგებოდა. საკუთარ ძალებში ეჭვი არასოდეს ეპარებოდა. ნოვაკმა კი ჩვენი პირველი შეხვედრისას იმედები გამიცრუა, მაგრამ ბოლო წელიწადნახევარში საოცარი პროგრესი განიცადა. ახლაც არიან ტალანტები — ხუან მარტინ დელ პოტრო, მარკოს ბაღდატისი და ა.შ. ვფიქრობ, უახლოეს წლებში კაცთა ჩოგბურთში უსერიოზულესი კონკურენცია იქნება.

— ახლა მთავარი პრიორიტეტი პირველი ჩოგნის სტატუსის დაბრუნებაა?

— ვნახოთ. წლეულს რაფას საოცარი სეზონი აქვს, ზაფხულში კი მან თითქმის ყველაფერი მოიგო — ოლიმპიადა, უიმბლდონი, „როლან გაროსი“, ტორონტოს მასტერსი. ის უბრალოდ ფანტასტიურად თამაშობს, თიხნარზე ისევ დომინანტია. ასე რომ, კარგად ვიცი რამდენად ძნელი იქნება პირველობის დაბრუნება.

— არ ვიცით გაიგონეთ თუ არა, მაგრამ მატჩის დასრულების შემდეგ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი სკანდირებდა — „შენ ისევ პირველი ხარ“...

— რა თქმა უნდა, გავიგონე. ეს უკვე მესამედ მოხდა.

— რამდენად მნიშვნელოვანია ეს თქვენთვის?

— საოცარია. ამ ორ კვირაში უამრავი ადამიანი მოდიოდა და წარმატებას მისურვებდა. ტაქსის მძღოლები მეუბნებოდნენ ხოლმე — „ისევ შენ ხარ მთავარი, ყველაფერი გამოგივაო“. სიტყვებით ვერც გადმოვცემ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ჩემთვის. ამ ქალაქმა მართლაც გულში ჩამიხუტა და ჩემთვისაც უძვირფასესად იქცა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხრიკაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge